

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

3

2023

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლაკვიშვილი

ქუთაისი - 2023

ყდაზე - პარხლის მონასტერი (IX ს., ტაო)

მერაბ კეზევაძე

**გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა
(1811-1923 წწ.)**

ნერილი მეორე

საკვლევ პერიოდში, 1811-1923 წლებში, გელათის მონასტერში მრავალ ღირსეულ ბერმონაზონს უმოღვაწია. მონასტრის ბერები დაკნინებულად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ განეგრძოთ მონასტრის დაარსების დროინდელი ძმათა ტრადიციები, თუნდაც მეუდაზნოება, განდევილი ცხოვრება, რაც თავისთავად მარტოდმყოფობასაც გულისხმობს. ჩვენმა საეკლესიო ისტორიამ არაერთი ცნობილი მარტოდმყოფელი მოღვაწის სახელი შემოგვინახა. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავს გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის მღვდელ-მონაზონ **ნიკოლოზს (მორჩაძეს)**. მან სიცოცხლეშივე დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მარტოდმყოფელობასთან ერთად, ის საერო პირთა თანადგომასაც ახერხებდა, რის დასტურადაც მის მიერ ათობით ბავშვის ნათლიობაც იკმარებდა, ისევე როგორც მრავალი პირისადმი გაწეული მატერიალური დახმარება, როგორც თანხით, ასევე თავისივე ხელნაკეთი საოჯახო ნივთებით.

ასეთი მაღლიანი მღვდელ-მონაზვნის მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1855 წელს შეუნიშნავს ცნობილ ქართველ მწერალსა და ეთნოგრაფს რაფიელ ერისთავს, რომლის შესახებაც გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ ოკრიბაში მოგზაურობის აღწერაში მოგვითხრო.

მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მარტოდმყოფელი (მორჩაძე) 1788 წელს ჩანს დაბადებული. წარმოშობით იმერელ საბატონო ყმას, მისგან ყდაგანახლებულ რიონის სახარებისანდერძადამისიგვარისფუძე-ადგილსამყოფელს თუ გავითვალისწინებთ, სოფელ რიონში დაბადებულს, განათლება მიუღია და მორჩილება გაუტარებია გელათის მონასტერში, მონაზვნად კი ჭელიშის მონასტერში აღუკვეციათ 1809 წელს. 1811 წელს გელათის მონასტერში ბერ-დიაკვნად უკურთხებია მიტროპოლიტ ეფთვიმე გენათელს, 1816 წლიდან კი მღვდელ-მონაზონია. 1819 წლიდან მას დაუწყია განდეგილი წესით ცხოვრება, როგორც მის ნამსახურებით სიაშია ნათქვამი: „იმყოფებოდა ჩყით წლიდან მახლობლად გაენათის მონასტრისა გამოკვეთილსა მთაში ქვაბსა შინა“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 10-11). აქვე ვიტყვიტ იმასაც, რომ იგი გვგონია ამ „ქვაბის“, დღეს რომ „ბერის ციხეს“ ემახიან, განმახლებელი. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, XVIII საუკუნის შუა პერიოდს რომ ასახავს: „გელათის სამხრით აქა მთაში არის ქვაბნი, გამოკუთხილნი კლდესა შინა მრავალნი, განშორებულთათვის და აწ ცარიელ არს“ (ქართლის ცხოვრება 1973: 754). მიუხედავად ასკეტური ცხოვრებისა, მრევლთან კავშირი არ გაუწყვეტია. მონასტერზე ზრუნვასთან ერთად სულიერ შვილებზეც, გამორჩეულად თავის მრავალრიცხოვან ნათლულებზეც ბევრი უზრუნია. ამის დასტურია მისი ორი ანდერძი და რაფიელ ერისთავის გელათთან დაკავშირებით მოთხრობილი ამბავი: გელათის მონასტრის ზემოთ ჩანს მთა, რომელიც შესანიშნავია იმით, რომ მის ბნელ და ღრმა მღვიმეში თერთმეტი წელი იცხოვრა ღვთისმოსავმა ბერმა ნიკოლოზ მორჩაძემ. იგი იქ ლოცვასა და შრომაში ცხოვრობდა. როცა ლოცვასა და წმ. მამების ცხოვრების კითხვას ან გადაწერას მორჩებოდა, სადურგლო იარაღებს მოიმარჯვებდა და ამზადებდა სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, გამოჰქონდა ისინი დიდ გზაზე და პირველივე გამვლელს უტოვებდა საჩუქრად. სხვებზე მზრუნველი კეთილი მამა ნიკოლოზი საკუთარ თავს მცირე ყურადღებას უთმობდა; ეცვა მხოლოდ ძალიან უხეში მაუდის ჩოხა, სვამდა წვიმის წყალს, იკვებებოდა გელათის ბერებისგან იშვიათად გამოგზავნილი მჭადით. საერთოდ

მწირ საკვებსაც კი უკიდურესად ზღუდავდა. ერთხელ, დიდმარხვაში, ორმოცი დღის განმავლობაში საერთოდ არ უჭამია!

ღვთისმოსავი მწირის ცხოვრებას არაფერი აღელვებდა. ერთხელ, იანვარში, შემოესმა გამოქვაბულის თავზე, ბოძზე მოწყობილ ფიცარზე კაკუნის ხმა. გარეთ გამოსულს უცნობმა ადამიანმა ნესვი მიაწოდა და უთხრა, რომ არქიმანდრიტმა გამოუგზავნა. როცა გაოცებულმა მარტოდმყოფელმა პირჯვარი გადაიწერა და ლოცვა დაიწყო, უცნობი ადამიანი თავის ნესვიანად გაქრა... ამის შემდეგ გელათის ბერებს დიდი ხვეწნით დაუთანხმებიათ, იგი მონასტერში გადასულიყო, სადაც ახლაც ცხოვრობს სხვა ბერებისაგან განცალკევებით, თავისი ცხოვრების წესის შეუცვლელად, – გვეუბნება რაფიელ ერისთავი. მისი ეს მონათხრობი 1855 წლის 25 ოქტომბერს ოკრიბაში თავის მოგზაურობას აღწერს (Кавказ 1857, 15.10. №65). ამ ამბავში ორი საინტერესო ფაქტია, თანაც სიზუსტით გადმოცემული: ერთი ის, რომ მღვდელ-მონაზონმა 11 წელი იცხოვრა მღვიმეში და მეორე, იქ ყოფნისას წიგნების გადაწერას ეწეოდა. ეს ფაქტები სხვა მასალებითაც დასტურდება, კერძოდ, მღვიმეში ნიკოლოზ მარტოდმყოფელის 11 წელი ყოფნა და მღვიმის დატოვების მიზეზი რეალურად არის აღწერილი გელათის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ ნიკოლოზის 1835 წლის 16 აპრილის წერილში იმერეთის ეპარქიის მმართველ არქიეპისკოპოს სოფრონისადმი. მასში წერია, რომ „გაენათის მონასტრის მახლობლად მარტომყოფი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი ჩყლ^ს (1830 წ.) წლიდამ იძულებული შეიქმნა დატევენად ამა მოღვაწეების შემთხვევისა გამო მოკლებისა თითქმის ყოველთაგან შემწეობისა გამოსაზრდელად თავისა თვისისა და დადგომად გაენათის მონასტერსა შინა, სადა აწ იმყოფება რა განატარებს ცხოვრებასა ძლიერ მყუდროებასა შინა და ჯეროვანსა მორჩილებასა ვითარცა შეეფერების ხარისხსა მისსა“. არქიმანდრიტი არქიეპისკოპოსს თხოვს, რომ მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზს დაუნიშნოს ხელფასი, რომელიც მას არასოდეს ჰქონია, მონასტრის შტატების დადგენისას მისი იქ არყოფნისა და მარტოდმყოფობის გამო. ამ დოკუმენტით იმასაც ვიგებთ, რომ არქიმანდრიტს მღვდელ-მონაზვნისათვის მინდობილი ჰქონია გელათის

საკათალიკოსო წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვის ჩატარება. თხოვნის ერთწლიანი განხილვის შემდეგ, არქივისკოპოსმა ხელფასის დანიშვნაზე უარი განუცხადა (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1240, ფ. 1-3). და იგი დადებითად მოგვიანებით გადაწყდა. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ ამ დოკუმენტით კიდევ ერთხელ დასტურდება მისი მღვიმეში ყოფნის 11-წლიანი პერიოდი – 1819 წლიდან 1830 წლამდე, ხოლო მის მიერ მღვიმეში წიგნების გადაწერის ამბავს ჩვენამდე მოღწეული ამ ხელნაწერების მინაწერები გვიდასტურებენ (ისე, როგორც მისი ანდერძი, სადაც წიგნის „ხელჴურჴელზეა“ საუბარი), კერძოდ, მინაწერი 1823 წლით დათარიღებულ „სჯულის კანონზე“ გვამცნობს: „ქრისტეს აქეთ ჩყკვ აპრილის ორს აღიწერა. უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე მწერალი ამისი ცოდვლი და გლახაკი უნარჩველესი ყოველთა ძმათა მღვდელ-მონაზონი მარტო მყოფელი მორჩაძე ნიკოლოზ. შეცთომა თუ იხილოთ, ნუ გჯწყევთ, უცთომელობა ღვთისადმი მიიწევის და ვინც შენდობა გვიბრძანოთ, ღმერთმა თქვენცა შეგინდოსთ“. ეს ხელნაწერი ამჟამად ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული (K 590), ისე როგორც 1825 წელს გადაწერილი „მეტაფრასი“ (K 18), რომლის ანდერძში ნათქვამია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი და გლახაკი გაენათისა მარტო მყოფი მღვდელ-მონაზონი მორჩაძე ნიკოლოზ, რამეთუ ფრიად მსუროდა აღწერა მეტაფრასისა ამის და განვასრულე, დიდება ღმერთსა“. თარიღიც დაზუსტებულია: მინაწერი (მხედრულად): „აღიწერა სეკდენბრის კჴ, წელთა ქრისტესით ჩყკვ“. გადაწერის თარიღი არ უჩანს სამართლის წიგნს, რომლის მინაწერი ადასტურებს, რომ: „აღიწერა სამართლის წიგნი ესე ხელითა გლახაკის მღვდელ-მონაზონის მორჩაძის ნიკოლაოზისათა“. მეორე მინაწერში კი ვკითხულობთ: „ღმერთო შეიწყალე მარტო მყოფი მორჩაძე ნიკოლოზ“. წიგნი, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, თავის დროზე ივანე სიმონის ძე მესხის საკუთრება ყოფილა. შემდეგ, 1913 წელს, ივანეს ეს წიგნი თავისი ძმისთვის, დათიკო (დავით) სიმონის ძე მესხისთვის, უჩუქებია, ხოლო 1927 წელს იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შეუძენია (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა H კოლექცია 1959:

410-411). აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ივანე სიმონის ძე მესხი, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, მღვდელ-მონაზონის ნათლული და დიდი სერგეი მესხის ძმა იყო.

გარდა ამისა, მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი, ქუთაისის მოურავ სპირიდონ მესხთან ერთად, XII საუკუნის ცნობილი რიონის სახარების ყდის განმახლებელიცაა. როგორც ხელნაწერის ანდერძიდან ვიგებთ: 1. „ქორონიკონს ჩყკდ (1824 წ.), ივლისის კდ, ჩვენ, ცოდვილმან და უნდომან მონამან ღვთისამან, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ რიონსა მცხოვრებელმან და ქუთაისის მოურავმან სპირიდონ მესხმან და გენათისა მარტომყოფელმან, რიონის დეკანოზის ძემან და თვით ყოფილმან მღვდელ-მონაზონმა, მორჩაძემ ნიკოლოზმან, მოვაჭედინეთ მეორედ წმინდა ესე ოთხთავენი სახარება და შევამკეთ იესოთ, ოთხის მახარებლით და თვალით. მაცხოვარო რიონისა და ოთხთავენი სახარებაო, შეიწირე ესე და შეიდოზა მოგვმადლე მრჩობლთავე ცხოვრებასა შინა, და ვინცა შენდოზა გვიბრძანოთ, ღმერთმა თქვენც შეგიდნოსთ, მამანო და ძმანო ამინ“ (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა 1959: 214).

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, 1830 წლიდან მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში დამკვიდრდა, სადაც გარდაცვალებამდე, 1858 წლის 23 ოქტომბრამდე, მოღვაწეობდა. დაკრძალეს 25 ოქტომბერს. გარდაცვალებამდე მას ორჯერ შეუდგენია ანდერძი – 1856 წლის 25 მარტს და 1858 წლის 1 მაისს. აღსრულებას, რა თქმა უნდა, ბოლო ანდერძი დაექვემდებარა. მასში, მთლიანად რომ წარმოგიდგენთ, კარგად ჩანს მღვდელ-მონაზონის ღვთისმოსაობა და დამოკიდებულება სულიერი შვილებისადმი: „სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა ამინ. მიახლებულმა მცხოვანებისადმი და შთავარდნილმა გრძელჟამიერსა სნეულებასა შინა და მყოფმან ჯერეთ სრულს მეხსიერებასა შინა გაენათის წის გიორგის ეკლესიაზე მდგომარემ მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზო თანდასწრებითა სულიერისა მამისა ჩემისა და ქვემოთ ხელის მომწერთა პირებთათა ვჰყავ ანდერძის წერილი ესე და ამით განვსაზღვრე ყოველნი საცხოვრებელნი და ქონებანი ჩემნი: ა. ჩემის შემოსვლის

დროს ამ ეკკლესიაზედ დამიხვდა მე ეკკლესიისა მხოლოდ ერთი კოთხო სახლი რომეშიდაც დღეს ვსდგევარ, გაუპოლავი ძირს და ზევით და სრულებით გარდაუხურავი, გამიპოლავს ძირს და ზევით, გარდამიხურავს სამ გზის ყავრითა, ამომიყვანია შიგ საკმაოს ტანის ბუხარი თლილის ქვითა, მიმიდგამს იმ სადგომზე პატარა ფიცრის ოთახი თავის ბუხრის ამოყვანითა, გამიშენებია ვენახის ვაზები ორ ტალავრათ ქმნილი, ორის ჭურის დამარხვითა, შემიძენია ერთი ხულა ფიცრისა, ერთი ჯორის დასაბმელი სამეჯინიბო სადგომი, ერთი ქვითკირის სახაბაზო თავის თორნითა, ერთი წკენის საბძელი და ერთი საქათმო, ამათთან ჩემნი საკუთარნი ერთი ხელი შესამოსელი, ერთი დიდი ტანის სადღესასწაულოს წიგნი ერთი ჩემის ხელით დაწერილი სრული ნეტაფრასის წიგნი, ერთი პატარა სპილენძის ქვაბი და თუნგი და ერთი ნაჯახი გაენათის წის გიორგის ეკკლესიისათვის შემიწირავს. ბ. ჩემ მიერვე კეთილშენადენი ერთი ლოცვანი, ერთი ჟამნი, ერთი ბარაკლიტონი, ერთი სახარება და ერთი სამოციქულო სამნი ხატნი რომელნიც ჩემს ოთახში მისვენებიან ერთი ქრისტეს აღდგომის და ორნი ღვთისმშობლისანი მოუჭედელნი, ერთი ფარჩის ფილონი, წითელი ოლარი, სარტყელი და სამკლავეები, წიგნების შესაკრავი იარაღნი, საბათმანო სპილენძის ქვაბი, ერთი მორჩილი თუნგი, ორნი სპილენძის ქვაბქოთნები, ერთი ტაფა და ერთი ტაშტი სპილენძისავე და სხვანი წვრილმანი ოჯახის ალაფობა რაც იქმნება ქვეშაგებ ზესახურავით ოთხი სულის კამბეჩებისაგან დიმიტრი ობოლადის ზიარათ რომ მყავს, ორი დედაშვილის კამბეჩებისგანვე კიკოლა ბასილას ძის ობოლადისას რომ მყავს მეოთხედ მეოთხედი ნაწილი მერგება და ნახევარი ჩემი საწილო ცხენი ბასილა ობოლადის რომ მყავს სანახევროთ მიცემული სამოც მანეთად ნასყიდი ჩემ მიერ და ერთი მარნის სადგომი თლილის ფიცრისა თავის გაწყობილობით ჩემის ნათლულის პეტრია დადუნაშვილისათვის დამიტოვებია ნურავინ შეეხების დიდი ნამსახური არის ჩემზე სიყრმიდგან ინებებს გარდაიტანს და ინებებს მოადგილისა ჩემისა თუ სხვა ვინმე მსაჭიროებელთ პირთაგან ღირებულს ფასს აიღებს ვერავინ უნდა დააბრკოლოს რადგანაც ეკკლესიის არა ურევია რა შიგ არამედ ჩემის საკუთრის საფასით შემიძენია და ესე ყოველთა

მონასტრის ძმებთაგან უწყებულ არს, გ. ერთი საოტკე ქვაბი სპილენძისა თავის გაწყობილობით მისვე პეტრისა და მისის ძმების მიქელა და ეგნატე დადუნაშვილებთათვის მიმიცია ჩემი მონათლულები არიან და დიდი ნამსახურიც არიან ჩემზე უმეტნაკლებ ერთი მეორისა ქონდესთ სამთავე ძმებს, დ. ფული მაქვს თვალათ მხოლოდ ასი მანეთი ვეცხლისა, რვა თუმანი გელათში მცხოვრებს ბიჭიელა გოგოლაშვილს ქონდა ჩემი საკუთარი სესხათ თავი რომ დაიხსნა მისის მებატონის მღვდლის სიმონ ჭირაქაძისაგან მას მერმეთ მართებს თამასუქსა ქუეშე, იმ რიცხვისაგან რადგან ღარიბი და შეუძლებელი არის ჩემის სულის სამადლოთ ნახევარი შემიწევია და ნახევარი უნდა მოიტანოს უმიზეზოთ და ხუთი მანეთი გელათშივე გაბრიელა კუბლაშვილის ძეს მიქელას მართებს კიდევ, და ხუთი თუმანი ჩემი ფული მამა არხიმანდრიტს გაბრიელს რომ ქონდა სესხათ ის რაოდენობა მისთვისვე მიმირთმევია საწირავათ და მოსახსენებელად ჩემისა, ღმერთმან გარდაუხადოს დიდი მანუგეშებელი არის ჩემი. ე. ერთი თუმანი ფული, ანაფორა და კაბა, სამი ჯამის სპილენძის ქვაბი და ერთი მოჭედილი საბიჯგი ჯოხი ჩემის სულიერის მამის ბლადოჩინის მღვდლის იოანე გაბადაძისათვის მიანდერძებია. ვ. ჩემი ჯორი რომელიც დღეს სიმონ მესხთან მყავს მისვე სიმონის შვილის პატარა ივანე მესხისთვის მიმიცემია ჩემი მონათლული არის ნურავინ შეეხების, და ერთი დობილოვანი ადგილი რომ მაქვს ნასყიდი სიმონ მესხის ეზოსთან მახლობლათ შემდგომ ჩემის მიცვალებისა მასვე სიმონ მესხს ქონდეს. მამისა მისისა სპირიდონ მესხის ხელშიდაც ამ პირობით ვიყიდვის ადგილი რომ მას დარჩენოდა შემდგომ ჩემისა. ზ. პირუტყვები მყავან გარეთცალი ხარიბიჭიელა გოგოლაშვილს აბარია ჩემი, ცალი ხარი გელათში პეტრია ჭირაქაძესთან მყავს, დედაშვილი ზროხა ბროლიქედში აზნაურს ნიკოლოზ ჭიჭინაძესთან ნახევარი ჩემია და ნახევარი მისი და თ. ამ ანდერძის წერილს ვარწმუნებ და მივანდობ ჩემს მანუგეშებელს მამა არხიმანდრიტს გაბრიელს და ვსთხოვ ღვთის სიყვარულისათვის იშრომოს ჩემს მიცვალებზე. მეოთხე მუხლში მოხსენიებულის ფულების რაოდენობიდან ჩემის მოძღვრის თანდასწრებით ყ“დ სამღვდელოს მიწირვინოს და მისის განსაზღვრებისაებრ იმ რაოდენობისაგან საწირავს

მიმირთმევდეს კრებულითურთ მისით, მოძღვარს თავისას უბოძებდეს რაც დამიწერია ზემორე და დანაშთენსა მონასტრის მძებზე გამიცემდეს საწირავებათ. და მეშვიდე მუხლში რომ პირუტყვები დამიწერია იმათ ჩემს აღაპზე დამიკვლევინებდეს და თუ ვინიცოზა არის ჩემი სიცოცხლე გაგრძელდეს და მისი მალაღლირსებას უმაღლესს ხარისხზედ აღყვანით გაენათიდამ წაბრძანება ექნეს სადამე, მაშინ ეს ანდერძის წერილი ჩემს მოძღვარს მამა იოანე გაბადაძეს გარდასცეს და მან განაკარგულოს ზემო განცხადებისამებრ და უკანასკნელ ამასაც ვიტყვი რაც ზემორე ამისა არა მიჩვენებია. არა მეტის მექონი არა ვარ და არცა სხვისი მმართვებია რამე და არცა მაბარია ვისიმე რამე ფულათ თუ სხვა ნივთად და რომელ ანდერძის წერილი ესე შევადგინე უძღურებაში გარნა სრულს მეყსიერებაში თანდასწრებითა მოძღვრისა ჩემისა და ქვემორე ხელისმომწერთა პირებთათა მას შინა საკუთარს ხელს ვაწერ: ჩყნჭ წელსა მაისის ა დღესა: გაენათი

რომელ ანდერძის წერილი ესე შეადგინა მამა მღვდელ-მონაზონმა ნიკოლაოზმა სრულს მეხსიერებაში მას შა საკუთარის ხელისმოწერითა ჩვენითა ვემოწმებით: მოძღვარი თვით ნიკოლაოზისა ბლაღოჩინი მღვდელი იოანე გაბადაძე“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6978, ფ. 15-16).

როგორც ანდერძიდან ჩანს, ერთ-ერთი მთავარი მოანდერძე პეტრე დადუნაშვილია. ის სოფელ გელათში ცხოვრობდა, საეკლესიო გლეხის შვილი იყო. მღვდელ-მონაზვნის მიერ მასზე გაწეული ამაგი კარგად ჩანს პეტრესაგან იმერეთის ეპისკოპოს გერმანესათვის მიწერილ წერილში, სადაც წერს: „მევიმყოფებოდი საეკლესიო წოდების ძე ობლად დაჩენილი მამისაგან და არა მყავდა მოწყალე და ჭირისუფალი არამედ ძლიერის ინწროებითა ვკვდებოდი შიმლოებით და წყურვილითა და შიმშილითა და ვინაითგან ასთე შეწუხებული ვიყავი ამის გამო მოავლინა ჩემზედ ღმერთმან მოწყალე და მყავდა ჩემდამოკუთვნილი ნათლია გაენათის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ და წარმიყვანა მან იმავე მონასტერსა შინა ვიდრე სამისა წლისა და ვინაითგან არავინ ჰყავდა მოწყალე და ჭირისუფალი ამის გამო მიხედა ღმერთს და მზრდიდა თავის საკუთრებისაგან ვიდრე ოცი წელი და მიხსნა სიკვდილისაგან... შემდგომ

განიზრახა თავის ღვთის გულისათვის კეთილნი საქმენი და ვინაითგან მხედვიდა მე უჭირისუფლოს და უმოწყალოთ ამის გამო ჩემდა სანუგეშოდ და სამადლოდ დამიტუა თავისი კუთვნილნი რამოდენობა თავის ანდერძით“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6978, ფ. 13). თითქმის მსგავსი შინაარსისაა უკვე პრიეტნიკ პეტრე დადუნაშვილის წერილი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი (ქიქოძე), რომელიც 1862 წლის 2 ივნისითაა დათარიღებული: „თქვენო მეუფებო მე ვიმყოფებოდი მამისაგან ოზლათ დაშთენილი და ჩემდა ჭირისუფალთა არა ძალედვა გამოზრდა ჩემი სიღარიბისა გამო ამისთვის მიხედა ღმერთს ნათლიამან ჩემან გაენათის მღვდელ-მონაზონმან ნიკოლოზმან და თვის სულის სამადლოთ წარმიყვანა მასთან და ვიყავ მასთან ვიდრე ოცი წელი და ვმსახურებდი მას ოცი წელი ყოვლის ჩემის ღონის ძიებით ხაზაზობითა მზარაულობითა წმენდითა რეცხითა კერვითა გაგზან გამოგზანითა შეშითა და წყლითა ხოლო ამათ ყოველთა უმეტესი მოსახურება შემექმნა რომელ ორსა წელსა მდებარეავათ მყოფი იყო დანახევარს წელიწადს ჩემის ხელით ვაჟმეუდი საზრდოსა და თავის სეირანის ტაშტით წმედავდი და ყოველს დღისით და ღამით აღუასრულებდი ღოცვასა თვისსა სენაკსა შინა რაიცა ჯერ არს თქმად ხოლო ამა ჩემისა მსახურებისათვის მაგიერი სასყიდელი მომცა თვისი საკუთრება რომელსაცა განამცხადებს მის მიერი ხელით დაწერილი ანდერძი არათუ ჩემზედ მარტო არის ის ანდერძი არამედ სხვანიცა პირნი არიან მის შინა რომელ მათაც აძლევს თვისსა საკუთრებასა რომელიცა უპყრიათ მათ სხვათა პირებთა მას შინა განცხადებული მიცემულ მღვდელ-მონაზვნის ნიკოლოზისა ხოლო მე დღეს წამერთვა რაიცა მაქვნდა მისგან მოცემული“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6978, ფ. 34).

როგორც საქმიდან ჩანს, მის მიერ წადებული ქონების ნაწილი უკანვე დაუბრუნებიათ, რაც უკანონოდ მიაჩნია. ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსს სთხოვს დახმარებას. როცა პირისპირ შეხვედრისას გაბრიელ ეპისკოპოსთან მისგან უარი მიიღო მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზისაგან დანატოვები მთელი საცხოვრებლის მისთვის მიცემაზე, ამოიღო ჯიბიდან ხანჯალი და ყელზე მიიბჯინა თავის მოსაკლავად, რომ არა იქ მყოფ პირთა სწრაფი მოქმედება,

ალბათ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6978, ფ. 36).

ანდერშში მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზის დანატოვარ ქონებაში, გარდა საეკლესიო და სამეურნეო ნივთებისა, ყურადღებას იქცევს წიგნის „ხელჭურჭელი“, ანუ ხელნაწერი წიგნის დასამზადებელი მოწყობილობა, რომელშიც შედიოდა: „ერთი ჭახრაკი, ერთი პირის სათლელი, შვიდი ბეჭედი სპილენძისა და ოთხი თეგი, ორი დაზგა, შვიდი რკინის კაკვი, ერთი კვერი, ერთი გაზი, ერთი ხერხი“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6978, ფ. 9). საქმიდან ირკვევა, რომ ეს მოწყობილობანი ეკლესიას დარჩენია, საერთოდ დანატოვარი ქონება, ძირითადად გელათის მონასტერს, მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ გაბრიელსა და პეტრია დადუნაშვილს შორის გაიყო (ქცა, ფ. 21, ს. 6978, ფ. 6, 9, 11, 29).

მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ წლების განმავლობაში გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი იყო ილუმენი **მიტროფანე (ლორთქიფანიძე)**, რომელიც 1866 წელს მღვდელ-მონაზონმა **ნიკიფორემ (კანდელაკი)** შეცვალა (ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 246). თავისი ასკეტური ცხოვრებით გამოირჩეოდა მწირი ბერი – **სქემ-მონაზონი შიო**. იგი დაბადებული იყო 1785 წელს, წარმოშობით იმერელი საბატონო ყმა-გლეხი. ქუთაისის საკათედრო ტაძარში განათლება მიღებული 1814 წელს აღიკვეცა მონაზვნად, 1820 წლიდან გელათის მონასტერშია (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 961, ფ. 11, 12). როგორც მისი ეპიტაფიიდან ჩანს, ცხოვრების ბოლო 42 წელი (გარდაიცვალა 1868 წელს) გაუტარებია მღუმარებაში და მკაცრ მარხვაში.

XX საუკუნის დასაწყისში (1913) გელათის მონასტრის კრებულში ჩანს 47 წლის **ბერ-დიაკონი ექვთიმე** (იგივე ესტატე სოლომონის ძე კერესელიძე), ამჟამად წმინდანად შერაცხული (წმინდანად შერაცხა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა 2003 წლის 18 აგვისტოს. სახელად ეწოდა წმინდა ექვთიმე აღმსარებელი და იხსენიება 2 თებერვალს – ძველი სტილით 20 იანვარს) (საპატრიარქოს უწყებანი 2003, 29.08.-4.09, №34: 7) წმიდა ექვთიმემ, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის

ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და სასულიერო ლიტერატურის გავრცელების საქმეში, სწორედ გელათის მონასტერში დაიწყო სამონაზვნო მოღვაწეობა. 1912 წელს გელათის მონასტერში მორჩილად განწესებული ამავე წლის 23 დეკემბერს აქვე აღიკვეცა მონაზვნად (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 25114, ფ. 13, 14), სადაც 1923 წლის ივნისამდე, მონასტრის გაუქმებამდე, მოღვაწეობდა.

გელათის მონასტერში თითქმის 20 წელი მოღვაწეობდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე სქემ-მონაზონი **თეოდორე ერისთავი** (1838-1905). ის იყო შვილიშვილის შვილი როსტომ რაჭის ერისთავისა, როსტომის შვილის – ბარძიმის შვილიშვილი (ქცა, ფ. 59, ან. 1, ს. 109, ფ. 1, 10; ფ.1 ან.1, ს. 7759, ფ. 78; ფ. 21 ან. 1, ს. 2453, ფ. 179). ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის შემდეგ, 1858 წლის სექტემბერში, განწესებულ იქნა გელათის მონასტერში მორჩილად (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 9041, ფ. 6, 7). 1860 წლის აპრილში აღკვეცილ იქნა მონაზვნად. 1866 წლის აპრილში გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ხელდასხმულ იქნა ბერ-დიაკვნად, ამავე წლის 25 დეკემბერს კი – მღვდელ-მონაზვნად. წლების განმავლობაში იყო გელათის მონასტრის ეკონომოსი. მონასტერში ყოფნისას მას არაერთი მორჩილისათვის გაუწევია სულიერი მამობა, მათ შორის 1885-1886 წლებში რამდენიმე თვით აქ მორჩილად მყოფ, დღეს უკვე წმინდანად შერაცხულ ალექსი შუშანიასათვის (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 16724, ფ. 10, ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 763, 768, 771). პირველად ის 1867 წელს ჩანს ათონის მთაზე ჩასული, ხოლო XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მუდმივად იქ, ათონის ივერიის იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეში, მოღვაწეობდა. 1903 წელს გ. ნადარეიშვილი მასზე წერდა: „თავადი ერისთავი მამა თეოდორე, რომელიც ამშვენებს ქართველთა კრებულის და ასახელებს საქართველოს იმ უცხო ქვეყანაში სხვადასხვა ერთა შორის, დღეს მრავალი სხვადასხვა ეროვნებისანი ყავს მოწაფედ და სახელი გაითქვა სრულიად ათონის მთაში და რომლის სამოძღვრო მოღვაწეობას დღეს ბადალი არა ჰყავს ათონის მთაში (ნადარეიშვილი 1903, №4: 271-272) გელათში აღზრდილმა თეოდორე ერისთავმა რამდენიმე საეკლესიო ნივთი გამოუგზავნა მონასტერს, მათ შორის: ერთი ხატი ხისა ამოჭრილი ათონის ხელობა ვერცხლის ბუდეში პეტრე

და პავლესი, ღვთისმშობლის გულსაკიდი მოოქრული ხატი ნაწილებით და ვერცხლის ჯაჭვით მოოქროვილნი (ქცა, ფ. 296, ან.1, ს. 153, ფ. 157, 161).

გელათის მონასტრის ბოლო კრებულის შემადგენლობაში საინტერესო პიროვნება **არქიმანდრიტი ანთიმოსი** (ანტონ გიორგის ძე რობაქიძე) დაიბადა 1841 წელს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სასულიერო განათლება განაგრძო ჯრუჭის მონასტერში, სადაც 1892-1907 წლებში მსახურობდა ეკონომოსად, ხოლო 1911-1917 წლებში გელათის მონასტრის წინამძღვრის ნაცვალა. გარდაიცვალა 1920 წელს, გელათში მოღვაწეობისას მონასტრის მახლობლად, მონასტრის წყაროს სათავეზე, განაახლა ღმრთისმშობლის წყაროცხოვრების ეკლესია „თავის ყოვლის საფასითა, როგორც დახურვით ისე მოწყობილობითა ხატების და საჭირო წიგნების შეძენით“. განახლებული ეკლესია აკურთხა მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაპიონმა 1903 წლის 31 აგვისტოს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 24119, ფ. 18, 19, ს. 2.5114, ფ. 5, 6, 7).

XIX საუკუნის I ნახევარში გელათის მონასტერში მოღვაწეობდა ბერ-დიაკონი **იოანე ბახტაძე** (1784-1850) (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 11, 12, ფ. 4309, ფ. 7), რომელიც ქვასა და ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატი იყო. მისი გაკეთებულია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთ კედელზე წმ. გიორგის ბარელიეფი, რომლის წარწერაშიც მოიხსენიება და რამდენიმე ჯვარი ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში. მასვე განუახლებია 1843 წელს გელათში, მდინარე წყალწითელაზე ძველი ქვის ხიდი, რომლის აღმნიშვნელი წარწერიანი ქვის სტელა დღეს ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ეკვდერებს ჰყავდათ თავიანთი წინამძღვრები, კერძოდ: მაცხოვრის სამწირველოს წინამძღვარი 1816-1837 წლებში, გარდაცვალებამდე, იყო ილუმენი **ვასილი (ლოსაბერიძე)**, დაბადებული 1774 წელს. განათლება მიღებული ჰქონდა თავის მამასთან – მღვდელ დავით ლოსაბერიძესთან, 1789 წელს დიაკონად ხელი დაასხა გელათელმა მიტროპოლიტმა ეფვთიმემ, მღვდლად აკურთხეს 1793 წელს. დაქვრივების შემდეგ, 1809 წელს,

აღიკვეცა მონაზვნად (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 9, 10). მისი შვილი იყო გრიგოლ ხუცესი, რომელსაც, როგორც ერთი საბუთიდან ჩანს, ილუმენ ვასილის სიკვდილის შემდეგ გელათის მონასტერში მისი დანატოვები ქონების აღწერისას ილუმენმა სოფრონმა და მონაზონმა მარინემ (წერეთელი) ჩუმად მისცეს მამის ნაქონი „გულსაკიდი ხატი ოქროთი და ნაწილებით შემკობილი“ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1413, ფ. 1, 2, 11).

1838 წლის ივლისში საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ მაცხოვრის ეკვდრის წინამძღვრად დანიშნა მღვდელ-მონაზონი **ნიკიფორე** (იქვე, ფ. 11, ს. 1945, ფ. 6), რომელიც გარდაცვალებამდე, 1850 წლის 5 მაისამდე, იყო ამ თანამდებობაზე (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 4658, ფ. 19). ამის შემდეგ საკმაო ხანს, 1868 წლამდე, გარდაცვალებამდე, ეკვდრის წინამძღვარი იყო მღვდელ-მონაზონი **ისააკი**, ხოლო 1870 წლიდან – **გერასიმე** (ქიმ, გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 307).

წმ. ანდრია პირველწოდებულის სამწირველოს წინამძღვარი 1804-1849 წლებში იყო ილუმენი **გრიგოლი (ლორთქიფანიძე)**. დაბადებულია 1765 წელს. განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლისთან, მანვე აღკვეცა მონაზვნად 1791 წელს. 1793 წელს ხელდასმულია ბერ-დიაკონად ჭყონდიდელი მიტროპოლიტ მაქსიმეს მიერ. 1804 წლიდან ილუმენია (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 9, 10, ს. 2163, ფ. 7, 8). გარდაიცვალა 1849 წლის 2 მარტს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 4480, ფ. 10, ს. 4352, ფ. 24). ილუმენ გრიგოლის სულიერი მოძღვარი იყო ცნობილი გელათელი ბერი ნიკოლოზ მარტომყოფელი (მორჩაძე) (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 4480, ფ. 14).

წმ. ქალწულ მოწამე მარინეს სამწირველოს წინამძღვარი 1812-1835 წლებში იყო ილუმენი **დავითი (ჩიგოგიძე)**, რომელმაც ილუმენი **სერაპიონი** შეცვალა (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 966, ფ. 3). ის დაბადებულია 1754 წელს, განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ხინოწმინდელ არქიეპისკოპოსს იოანესთან. 1794 წელს მანვე აღკვეცა მონაზვნად. 1795 წელს აკურთხეს ბერ-დიაკონად, 1798 წელს კი – მღვდელ-მონაზვნად (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 9, 10, ს. 678, ფ. 9, ს. 2163, ფ. 7). გარდაიცვალა 1836 წელს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 1589, ფ. 14). ამავე წლიდან აღნიშნული ეკვდრის წინამძღვარი გახდა

მღვდელ-მონაზონი **ნიკოლოზი (ნიჟარაძე)** (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 2163, ფ. 7, ს. 1945, ფ. 6, ს. 678, ფ. 12, ს. 1170, ფ. 17). 1857 წლის დეკემბერში წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად ჩანს მღვდელ-მონაზონი **ვენედიქტე (ჭირაქაძე)** (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 6400, ფ. 6).

1822 წელს ღმრთისმშობლის შობის ტაძრის წმინდა ქალწულ მოწამე მარინეს მეორე სამწირველოს წინამძღვრად ჩანს ილუმენი **იოსები** (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 966, ფ. 4), რომელიც სულ მალე ილუმენმა **ვენატემ** შეცვალა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 392, ფ. 8, ს. 488, ფ. 7), 1827 წლიდან წინამძღვარი გახდა ილუმენი **სოფრონი (დოღობერიძე)** (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 488, ფ. 7, ს. 678, ფ. 5). იგი დაბადებულია 1778 წელს, მორჩილება გაატარა და მონაზვნად აღიკვეცა ჯრუჭის მონასტერში წინამძღვრის არქიმანდრიტ სიმეონის მიერ, ბერ-დიაკვნად აკურთხა ნიქოზელმა მიტროპოლიტმა ათანასემ 1801 წელს, მღვდელ-მონაზვნად – მიტროპოლიტმა დავითმა 1806 წელს, ილუმენად – ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა 1818 წელს (ქცა, ფ. 21, ან. 1, ს. 965, ფ. 62, 63, ს. 2163, ფ. 8, 9).

XIX საუკუნეში გელათში მოღვაწე ილუმენებს შორის თავის ბიოგრაფიით გამოირჩევა ილუმენი **იესე (გრიგოლაშვილი)**. მის შესახებ საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული პოლიევეტოს კარბელაშვილს ჟურნალ „მწყემსში“ (1884, №24). მასში ვკითხულობთ: „გასულ საუკუნის ბოლოს და მდგომარის დასაწყისს ერთი ამ გვარის (გრიგოლაშვილი – მ.კ.) კაცი – იესე – ყველასაგან გამოირჩეოდა. იგი ყოფილ საკმაოდ განვითარებული გონებითა და თავისი დროის შესაფერად განათლებული კაცი. მისი პირადი ღირსების გამო, იესე, ჩამომავლობით მდაბალი აზნაური იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს შეურაცხავს „შუათანა აზნაურად“, ხოლო სოლომონ მეორეს თან-და-თან აღუმაღლებია, ჯერ მიუცია თავისი კარის მწირველობა, შემდეგ მდივნობა და ბოლოს იესე გამხდარა გელათის მონასტრის წინამძღვრად. იგი ამ ხარისხში აღესრულა. გვამი მისი დასაფლავებულია გელათის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კარში შესასვლელთან. საფლავის ქვა თითქმის გასწორებულია მიწასთან. წანაწერიც მასზედ მთლად წაქლესილა, არა სჩანს არც მისი დაბადების წელი და რიცხვი, არც გარდაცვალებისა. ვერც სხვაგან ვიპოვე

16

ნამდვილი ცნობა ამაზედ. ნამდვილი მხოლოდ ის არის, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დიდ-ხანს აღარ უცოცხლია იესეს. გამოცხადდა თუ არა 1810-ს წელს, თებერვლის ცხრას რუსთ-მთავრობის დამყარება დასავლეთ საქართველოშია, ამასთანავე რაკი ტრაპიზონიდან ამზავი მოვიდა ოსმალეთისაკენ გადახვეწილის მეფის სოლომონ მეორის მოულოდნელი სიკვდილისა და მისთ იქ გადამყოლთ დარბაისელთ გაფანტვისა, მოხუცი იესე სევდისაგან ავად გახდა. კარგა ხანს იყო იგი ჩავარდნილი ლოგინად თავისს სასახლეში სოფ. ზარათს ხუთის ვერსის მანძილზე გელათიდან. იგრძნო თუ არა აღსასრულის მოახლოება, მან სთხოვა ჭირისუფლებს გელათს გადაყვანა: იქ უთუოდ მოვრჩებიო. გადიყვანეს ჯალავრით და მაშინვე მოკვდა“ (მწყემსი 1884, 16.12. №24: 10). ამ ბიოგრაფიულ მონაცემებში ზოგიერთი ფაქტი დასაზუსტებელია. XIX საუკუნის დასაწყისში იესე გრიგოლაშვილი მართლაც ჩანს, როგორც სოლომონ II-ის კარის მწირველი (მღვდელი) (კაკაბაძე 1921: 139, 143, 151; ქსმ 1970: 1117). რაც შეეხება მის გელათის მონასტრის წინამძღვრობას და გარდაცვალებას, იესეს მონაზვნად აღკვეცა უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში. მონაზვნობით უნდა აიხსნას საბუთებში მისი ორი სახელით – იესეთით და იოსებით – მოხსენიება. მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა კი მას არასოდეს სჭერია. 1821 წლის საბუთში ის მოიხსენიება, როგორც „ეკვდრის წინამძღვარი იესე გრიგოლაშვილი“ (ქკა, ფ. 21, ან. 1, ს. 308, ფ. 2). საბუთებით არც მისგან მონასტრის რომელიმე ეკვდრის წინამძღვრობა დასტურდება. ფაქტია, რომ ის ილუმენის ხარისხში გარდაიცვალა 1829 წლის 21 მაისს გელათის მონასტერში. მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი 1829 წლის 24 მაისს იმერეთის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს წერდა: „მყოფი გაენათის მონასტერსა შა ილუმენი იოსებ გრიგოლაშვილი განვიდა ამიერ სოფლით“ (ქკა, ფ. 21, ან. 1, ს. 565, ფ. 1).

გელათის მონასტრის მართვა-გამგეობის შესწავლა და კრებული წევრთა საქმიანობა ნათლად წარმოაჩენს, რომ 1811-1923 წლებში, მძიმე დროებისა და მართვა-გამგეობის ახალი წესის მიუხედავად, მონასტერში ძირითადად შენარჩუნებული იყო კრებულის წევრების მაღალი ქრისტიანული და ეროვნული თვითშეგნება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ივერია 1904 – გაზეთი „ივერია“, 1904, №224, 29.09.

მწყემსი 1884 – ჟურნალი „მწყემსი“, 1884, 16.12. №24.

საპატრიარქოს უწყებანი 2003 – გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2003, 29.08.–4.09. №34.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა H კოლექცია, ტ. VI, თბილისი, 1959.

სცა – საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, ან. 1, ს. 361.

ქართლის ცხოვრება 1973 – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973.

ქიმ – ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, იმერეთის ეპარქიის არქივი, №6861, ს. 131; გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 161, 246, 307, 678, 763, 768, 771, 930, 1003, 1004.

ქსმ 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბილისი, 1959.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი (ფ.) 1, ანაწერი (ან.) 1, საქმე (ს.) 7759.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 21, ან. 1, ს.: 52, 308, 392, 488, 529, 539, 565, 678, 841, 961, 965, 966, 1084, 1240, 1413, 1589, 1945, 2163, 2453, 2547, 4035, 4309, 4352, 4468, 4480, 4637, 4658, 5372, 6400, 6888, 6978, 8825, 9041, 10972, 11422, 16724, 24112, 24119, 25114, 25853, 28024.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 59, ან. 1, ს. 109.

ქცა – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 296, ან. 1, ს. 153.

Кавказ 1857 – გაზეთი „Кавказ“, 1857, 15.10. №65.

გამბა 1987 – გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბილისი, 1987.

კაკაბაძე 1921 – კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფილისი, 1921.

კეზევაძე 2006 – კეზევაძე მ., გელათის მონასტერი
ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006.

მგალობლიშვილი... 2000 – მგალობლიშვილი მ.,
მიქიაშვილი ლ., ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები
გელათის შესახებ, „ანალები“, 2000.

ნადარეიშვილი 1903 – ნადარეიშვილი გ., ქართველთა
ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ. ჟურნალი „მოგზაური“,
1903, №4.

ჟორდანია 1897 – ჟორდანია თ., ქრონიკები..., წ. II,
ტფილისი, 1897.

ტყემელაშვილი 2007 – ტყემელაშვილი გ., გელათის
საგანძური, ქუთაისი, 2007.

Броссе 1861 – Броссе, М., Переписка... Грузинских царей
с Россисками государями. С-Пб., 1861.

Merab Kezevadze**GOVERNANCE AND MANAGEMENT
OF GELATI MONASTERY (1811-1923)
LETTER SECOND**

Summary

In the history of Gelati Monastery, the governance and management policy in the period under research (1811-1923) is divided into several stages: **1811-1820**, when the centuries-old rule based on the Monastery's typicon still continues; **1821-1917** the period of the exarchate, when the Monastery was under staff rule and **1917-1923** – from the restoration of the autocephaly of the Georgian Church to the abolition of the Monastery.

In the article, all three periods of the governance and management of the Monastery are studied mainly based on archival documents. In 1811-1820, the general governance of the Monastery was run by the Metropolitan, the leader of the Gelati Diocese. At that time, the Monastery did not have an independent leader. Individual churches had leaders such as Cathedral Church of the Blessed Virgin Mary and the eukterions (chantries) of Cathedral Church of the Blessed Virgin Mary; at the second and third stages, the general management of the Monastery was handled by the leader. In addition, until the 80s of the 19th century, individual churches and eukterions (chantries) traditionally had their own leaders. An economist helped the leader to deal with economic activities. Besides, each member of the Monastery had a specific function. During the research period, the composition of the Monastery community was regulated three times – in 1821, in 1861 and in 1882.

The study of the the governance and management policy of Gelati Monastery and the activities of the members of its community clearly show that in 1811-1923, despite the severity of the era and the new rule of governance, the high Christian and national self-awareness of the members of the congregation and community was mainly preserved in the Monastery.

ნატალია ურუშაძე

**პრეგნატაცია – კოგნიტური ბარიერის
გადალახვის ეფექტური სტრატეგია
უცხოური ენის სწავლების პროცესში**

უცხოური ენის შესწავლის დროს სტუდენტები პირისპირ ხვდებიან მნიშვნელოვან დაბრკოლებებს კოგნიტური დეფიციტის სახით, რაც ქმნის კომუნიკაციურ ბარიერს.

კოგნიტური დეფიციტი მრავალმეტყველი ტერმინია. ის იხმარება როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. საზოგადოდ, ამ ტერმინით აღწერენ ნებისმიერ მახასიათებელს, რომელიც ბარიერს უქმნის კოგნიტურ პროცესს ანუ იმ მენტალურ პროცესებს, რომლებიც გულისხმობს მეხსიერებას, ყურადღებას, მეტყველებას, გაგებასა თუ სწავლას, აზროვნებას, გადაწყვეტილებების მიღებას და სხვ. უფრო ვიწრო გაგებით, ეს ბარიერი ვლინდება უცხოური ენის შესწავლის პროცესში.

მეხსიერების თანამედროვე მოდელების ჩამოყალიბებაზე უდიდესი როლი ითამაშა ჯორჯ ა. მილერმა (Miller 1956), რომელმაც დაასკვნა, რომ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ზრდასრული ინდივიდების ხანმოკლე მეხსიერება ერთჯერადად ინახავს დაახლოებით (7 ± 2) ციფრს,

რაც დამოკიდებულია მისი მოცულობის ტესტირებასა და სხვა ფაქტორებზე, როგორცაა ასაკი, დღის განმავლობაში აქტივობის პერიოდი, ყურადღება, მოტივაცია, ინტერესი, და სხვ.

მოგვიანებით, მილერის აღმოჩენაზე დაყრდნობით, ატკინსონმა და შიფრინმა ჩამოაყალიბეს ადამიანის მეხსიერების მრავალსაფეხიანი სისტემური თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის მეხსიერება შედგება სამი ძირითადი საფეხისგან ან ბლოკისგან: სენსორული, ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების საფეხებისგან.

შემდგომში ბედლიმ და ჰიჩმა (Baddeley... 1974; Baddley 1986; Baddley 1997) უფრო განავითარეს არსებული თეორია და ჩამოაყალიბეს მუშა მეხსიერების ახალი მოდელი, რადგან სწორედ მუშა მეხსიერებას აქვს უნარი დაამუშაოს ინფორმაცია, რაზედაც მუშაობს ჩვენი გონება სხვადასხვა დავალების შესრულების დროს.

მეხსიერების თანამედროვე მოდელების გათვალისწინებით, არსებობს ენობრივი განსხვავებები, რაც თვალსაჩინო ხდება ზრდასრულ ასაკში უცხოური ენის შესწავლის დროს ენის ოთხივე ასპექტში (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა), რადგან იქმნება ერთგვარი ბარიერი კოგნიტური დეფიციტის სახით.

ასაკი

კოგნიტური დეფიციტის თვალსაზრისით, ინგლისური როგორც მეორე ენის შემსწავლელ ზრდასრულ სტუდენტებში ასაკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად, კოგნიტური პროცესები განსხვავებულია ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებსა და ზრდასრულ ადამიანებში. ბავშვები ფიქრობენ კონკრეტული სახეებით / საგნებით მაშინ, როდესაც ზრდასრულ ასაკში ადამიანები აზროვნებენ სიტყვებითა და ცნებებით. „ჩვენ - ზრდასრული ადამიანები, თუკი შეგვიძლია ეს ასე გამოვხატოთ, ვფიქრობთ სიტყვების მეშვეობით, სიტყვების ფორმულებით, მაშინ როდესაც პატარა ბავშვები - საგნების მეშვეობით, საგანთა სამყაროს გზით. მათი ფიქრი ადრეულ ასაკში დაკავშირებულია მხოლოდ კონკრეტულ სახეებთან,“ - წერს კ. ჩუკოვსკი თავის ცნობილ წიგნში „ორიდან - ხუთამდე“ (1963).

მიზეზი, თუ რატომაა ზრდასრულ ასაკში უფრო ძნელი მეორე ენის შესწავლა, მდგომარეობს იმაში, რომ ზრდასრული ადამიანი მშობლიური ენის სისტემაზე აფუძნებს ახლად მიღებულ ცოდნას, რაც, თავის მხრივ, ახალი სისტემაა; ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები კი არ იყენებენ ენის ათვისების იმავე სისტემას. მაგალითად, ბავშვთა საპირისპიროდ, ინფორმაციის დამუშავების დროს ზრდასრული ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტები ვენესუელიდან იყენებდნენ ზრდასრული ასაკისთვის დამახასიათებელ კოგნიტურ პროცესებს (Cook 1981a), რადგან ისინი განვითარების სხვა სტადიაზე იმყოფებოდნენ. ამგვარად, ზრდასრულ ასაკში მეორე ენის შემსწავლელი სტუდენტის კოგნიტური პროცესები უფრო შეზღუდულია და იწვევს კოგნიტურ დეფიციტს.

არსებობს სხვადასხვა სტრატეგია, მეთოდი და ტექნიკა კოგნიტური დეფიციტის გადასალახად უცხოური ენის სწავლებისას. ამჟერად ჩვენ ფოკუსირებას მოვახდენთ პრეზენტაციების როლზე.

პრეზენტაცია წარმოადგენს აუდიტორიისთვის გარკვეული თემის წარდგენის პროცესს, რაც გულისხმობს შესავალს, ლექციასა თუ მოხსენებას შესაბამისი მასალის ვიზუალური დემონსტრირების გზით ინფორმირების, დარწმუნების, მოტივირების ან ახალი იდეისა თუ ახალი პროდუქციის წარდგენის მიზნით. იგი წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამის პაკეტს, რომელიც მიმდინარეობს ეკრანზე ვიზუალური მასალის დემონსტრირებით სლაიდების სახით ინფორმაციის წარსადგენად. მას სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1. სარედაქციო ფუნქცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ტექსტის ბეჭდვა, რედაქტირება და დაფორმატება, 2. გრაფიკული სახეების შექმნისა და მანიპულირების ფუნქცია და 3. მოხსენების, შესაბამისი ტექსტისა და სლაიდებისა თუ გრაფიკების წარდგენის ფუნქცია აუდიტორიის წინაშე (en. wikipedia. org>wiki. Presentation_program).

გამოყოფენ ორი ტიპის პრეზენტაციას: ინფორმატიულსა და დამარწმუნებელს. ინფორმატიული პრეზენტაცია ხელს უწყობს იდეის (ან ახალი იდეის) გაგება-გააზრებას ან ინფორმაციის გადაცემას; დამარწმუნებელი

პრეზენტაციის მიზანი კი დამსწრე საზოგადოების რწმენაზე, დამოკიდებულებებსა თუ ქცევებზე ზემოქმედების მოხდენაა მაშინ, როდესაც მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა გააჩნიათ (<http://tutorials.istudy.psu.edu/oral-presentations/oralpresentations2.html>).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის 5 ძირითადი გრძნობიდან (მხედველობა, სმენა, შეხება, გემო, ყნოსვა) უმეტესობა ჩართულია პრეზენტაციის შექმნის პროცესში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საგანმანათლებლო (ლინგვისტური, ინტელექტუალური და ემოციური განწყობის) სტიმულირებას და ახდენს უცხოური ენის შესწავლელი სტუდენტის 4 ძირითადი უნარის (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) სტაბილურ განვითარებას.

მეხსიერების თანამედროვე მოდელების გათვალისწინებით, არსებობს ენობრივი განსხვავებები, რაც თვალსაჩინო ხდება ზრდასრულ ასაკში უცხოური ენის შესწავლის დროს ენის ოთხივე უნარში (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა), რადგან იქმნება ერთგვარი ბარიერი კოგნიტური დეფიციტის სახით.

კითხვა

კითხვა კოგნიტური პროცესია, რომელიც შეზღუდვებით ხასიათდება. პრეზენტაციის შექმნის დროს სტუდენტს უხდება არა მარტო სავალდებულო მასალის ყურადღებით წაკითხვა, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებული ახალი მასალის მოძიება, წაკითხვა, წაკითხული მასალის გააზრება და გადამუშავება, რომლის დროსაც ის კოგნიტურ ბარიერებს ხვდება. სწორედ მათი გადალახვა უხდება ზრდასრულ სტუდენტს ინგლისური ენის (B1+ დონის) შესწავლის პროცესში. კითხვა არ წარმოადგენს იზოლირებულ პროცესს – იგი შერწყმულია კონტექსტთან. ტექსტის მთავარი დედააზრის განსაზღვრა შეუძლებელია მხოლოდ ცალკეული, იზოლირებული წინადადებებით. ტექსტის დედააზრი განისაზღვრება მკითხველის წინარე ცოდნით და შედეგია იმ პროცესებისა, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი აფიქსირებს მიღებულ ინფორმაციას გონებაში. ერთი და იმავე სცენის ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს მკითხველის წინარე ცოდნისა და მიზნების გათვალისწინებით. ამ მოსაზრებას ადასტურებს

ბრედფორდისა და ჯონსონის ექსპერიმენტი (Bradford... 1982), სადაც ექსპერიმენტში მონაწილეებს არ გააჩნდათ მოცემული კონტექსტის შესაბამისი წინარე ცოდნა. ტექსტი გაურკვეველი დარჩა მათთვის სათაურის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოურ ენაზე ტექსტის კითხვის დროს გადამწყვეტი როლი ენიჭება შესაბამის წინარე ცოდნას (Cook 1991).

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ენის საშუალო დონეზე შესწავლისას, კონტექსტთან ერთად, ტექსტის გაგებასა და ახალი მასალის შესწავლა-აღდგენაში გადამწყვეტ როლს თანაშობს სიტყვათა ლინგვისტური ასპექტები. უცხო სიტყვების გამოყენება ამ დონეზე ბარიერს უქმნის ტექსტის გაგებას. ამის ნათელი დადასტურებაა 1984 წელს პატრიცია კარელის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი (Carrell 1984).

პრეზენტაციის შექმნისას ინგლისური როგორც მეორე ენის შემსწავლელი სტუდენტები ჩართული არიან ისეთ პროცესებში, როგორიცაა: მასალაზე თვალის გადავლება (ზერელე კითხვა), გულისყურით წაკითხვა (ანუ კითხვა დეტალების გასაანალიზებლად), ინტენსიური კითხვა, რომლის დროსაც ყურადღება მახვილდება ტექსტის ლინგვისტურ ასპექტებზე; ტექსტიდან ძირითადი არსის გამოტანის უნარი, ექსტენსიური კითხვა (ანუ მოზრდილი ტექსტების წაკითხვა ინტერესისა და სიამოვნებისათვის). გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა გამოიმუშავოს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ შემოქმედებითი უნარიც და სხვ. (The TKT Essentials Course, Teaching Knowledge Test, Participant's Worksheets. The British Council English Global Product).

წერა

კოგნიტური დეფიციტი ვლინდება უცხოურ ენაზე წერის დროს, რაც ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: რეგისტრი, ფორმატი, შინაარსი, ოფიციალური/არაოფიციალური სტილი, მასალის ორგანიზება, მაკავშირებელი სიტყვების გამოყენება, მართლწერა, სწორი გრამატიკული სტრუქტურების ხმარება (მაგ., ვნებითი გვარი, პირდაპირი და ირიბი თქმა და სხვ.), შესაბამისი ლექსიკური მასალის გამოყენება, პერიფრაზირება, სწორი პარაგრაფირება, თავად პარაგრაფის სწორი აგება (რაც

გულისხმობს პარაგრაფის მთავარი აზრის გამომხატველი წინადადებისა და მასთან დაკავშირებული წინადადებების სწორ განაწილებას), პუნქტუაცია, პაგინაცია, გამოყენებული ლიტერატურის სიის შედგენა, და სხვ. (Norris 2008).

პრეზენტაციის შესრულებისას სტუდენტმა უნდა გამოიყენოს ისეთი უნარები, როგორიცაა:

- დაგეგმარება (შენიშვნების ჩაწერა და სხვ.)
- პრეზენტაციის თემის შესაბამისი სტილი
- იდეების ლოგიკური ორგანიზება
- ძირითადი იდეის თანმიმდევრული განვითარება
- მასალის დამუშავება
- მასალის რედაქტირება
- მასალის გადამოწმება
- მასალის საბოლოო წაკითხვა პრეზენტაციამდე
- საბოლოო ვარიანტის შექმნა.

საუბარი

საზოგადოდ, საუბრის დროს კოგნიტური დეფიციტის გადასალახად გადასწყვეტ როლს თამაშობს ე.წ. „სქემები“, ანუ ბაზისური სტრუქტურები, რაც ინფორმაციის ორგანიზებას ახდენს და გულისხმობს საერთო წარმოდგენებსა და ე.წ. „სცენარებს“ ანუ პირობით, საყოველთაოდ მიღებულ სიტუაციებს, რუტინულ, დადგენილ შაბლონურ აქტივობებს, მაგ.: გზის ჩვენება, ავტობუსით მგზავრობა, ბილეთის შეკვეთა, ვიზიტი ექიმთან და სხვ. (Schank and Abelson 1977). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირობითი სიტუაცია, რომელიც მსგავსია ზოგი ერისთვის, სხვა ერებისათვის განსხვავებულია, რაც ქმნის განსხვავებულ მოლოდინს და იწვევს კოგნიტურ დეფიციტს (Cook 1991).

პრეზენტაციის წარსადგენად სტუდენტმა წინასწარ უნდა მოამზადოს მოხსენება საყოველთაოდ მიღებული სქემებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

არსებობს მეტყველებაზე დაფუძნებული გარკვეული აქტივობები, რისი ადაპტირებაც უნდა მოახდინოს სტუდენტმა პრეზენტაციის მომზადების პერიოდში. მან უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ინტონაცია
- მოცემული სიტუაციისა და აუდიტორიისათვის შესაბამისი მეტყველების სტილი/ფორმა

- გადაბმული მეტყველება
- მეტყველების სიზუსტე, აკურატულობა
- მეტყველების სიმწყობრე, შეუფერხებლობა
- სხეულის ენა
- კომუნიკაციის უნარი
- მომხსენებლის დამოკიდებულება, განწყობა, ემოციები, რაც ზეგავლენას ახდენს აუდიტორიაზე.

მოსმენა

მოსმენის ელემენტებიც უაღრესად დიდ როლს თამაშობს კოგნიტური ბარიერის გადალახვისას. ისინი გულისხმობს აღქმისა თუ შემეცნების ისეთ კოგნიტურ პროცესებს, რომლის დროსაც გონებაში ხდება ინფორმაციის დეტალური (ქვემოდან ზემოთ ან პირიქით, ზემოდან ქვემოთ) დამუშავება. ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ლექსიკური მარაგის არსებობა, რაც მისი სიმწირის შემთხვევაში სერიოზულ პრობლემას ქმნის მოსმენილი მასალის გაგებასა და გააზრებაში. პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს კითხვებზე შესაბამისი სხარტი პასუხების გაცემა, რაც შთაბეჭდილებას ახდენს აუდიტორიაზე.

სტუდენტმა უნდა შეძლოს:

- მოიძიოს და გამოიყენოს შესაბამისი აუდიომასალა პრეზენტაციის გახმოვანებისთვის
- აუდიტორიიდან მიღებული შეკითხვების ყურადღებით მოსმენა, მათი სწრაფი გააზრება და შესაბამისი პასუხების გაცემა
- წარმოდგენილ თემაზე წამოჭრილი დისკუსიის ყურადღებით მოსმენა და მასში აქტიური მონაწილეობა.

მაშასადამე, პრეზენტაციები ფარავს ენის ოთხივე უნარს: კითხვას, წერას, მოსმენასა და საუბარს. ჩვენ ვივარაუდებთ, რომ სისტემატური პრეზენტაციები ხელს შეუწყობდა არსებული კოგნიტური ბარიერების გადალახვას, მეხსიერების გაუმჯობესებას, ცოდნის დაგროვებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა უცხოური ენის შემდგომი დაუფლების, პროფესიის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში.

1. მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა სტუდენტთა მიერ სისტემატურად ჩატარებული პრევენტაციების ზემოქმედება მეორე ენის შემსწავლელთა მეხსიერების მოცულობაზე, რაც გამოვლინდებოდა მიღებულ შედეგებში, კერძოდ, შუალედურ გამოცდაში მიღებულ ქულებში; გვსურდა შეგვესწავლა პრევენტაციების როლი როგორც სწავლების ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია კოგნიტური ბარიერების გადალახვის პროცესში უცხოური ენის დაუფლებისას, გენდერის გათვალისწინებით. კვლევა დაეფუძნა ატკონსონ-შიფრინის მეხსიერების მრავალსაცავიანი სისტემისა და ბედლისა და ჰიჩის მუშა მეხსიერების მოდელს.

1.1. კვლევის მონაწილეები

ჩვენ ჩავატარეთ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი 18 წლის ასაკის 58 სტუდენტზე (დონე B1+), რომლებიც სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე: 1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა (კონტროლ-ჯგუფი - 29 სტუდენტი) და 2. მედიცინის ფაკულტეტზე (ექსპერიმენტული ჯგუფი - 29 სტუდენტი).

1.2 ინსტრუმენტები

სემესტრის დასაწყისში მედიცინის ფაკულტეტის ექსპერიმენტული ჯგუფის მონაწილეებს გავაცანით მომავალი მიზნები და ამოცანები: სემესტრის განმავლობაში მათ რეგულარულად უნდა წარმოედგინათ პრევენტაციები თითოეულ გავლილ თემაზე, მაშინ როდესაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ასეთი ამოცანა არ დაგვისახავს მიზნად. ჩვენ გვსურდა დაგვედგინა, როგორ ზემოქმედებს რეგულარული პრევენტაციები ხანმოკლე მეხსიერების მოცულობასა (STM span) და სტუდენტთა სემესტრულ (კერძოდ, შუალედური გამოცდის) შედეგებზე, რათა მოგვეხდინა ექსპერიმენტული ჯგუფისა და კონტროლ-ჯგუფის მონაცემების შედარება.

1.3. ჰიპოთეზები

I ჰიპოთეზა: მეორე ენის დაუფლების პროცესში სისტემატური პრევენტაციები აუმჯობესებს მეხსიერების მოცულობას.

II ჰიპოთეზა: სისტემატური პრევენტაციები ხელს უწყობს კოგნიტური ბარიერის გადალახვას უცხოური ენის შესწავლის პროცესში.

1.4. მონაცემთა შეგროვების პროცედურები

მეხსიერების მოცულობის გაზომვის მიზნით ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ექსპერიმენტული და კონტროლ-ჯგუფის სტუდენტებს ვუკარნახეთ მარტივი რიცხვები 1-დან 10-მდე (4-დან 8 ერთეულის ჩათვლით სამ-სამრიგად) ხანმოკლე მეხსიერების გაზომვის მიზნით. მათ უნდა ჩაეწერათ დამახსოვრებული ციფრები ფურცელზე, რათა მოგვეხდინა ექსპერიმენტულ და კონტროლ-ჯგუფებში მიღებული შედეგების შედარება სქესის გათვალისწინებით.

ჩვენ შევადარეთ ორივე ჯგუფის მონაწილეთა მიღებული ქულები შუალედურ გამოცდაში სქესის გათვალისწინებით.

ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებმა შეავსეს კითხვარი, რომლის მიზანიც იყო მიგველო დამატებითი ინფორმაცია პრეზენტაციების მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულების შესახებ.

1. მონაცემთა ანალიზი

2.1. რაოდენობრივი ანალიზი

რადგან ექსპერიმენტში მონაწილეთა რაოდენობა 100-ზე ნაკლები იყო (სულ 58 სტუდენტი) და მიღებული მონაცემები არ აკმაყოფილებდა პარამეტრული დისტრიბუციის აუცილებელ პირობებს, ჩვენ იძულებული გავხდით გამოგვეყენებინა არაპარამეტრული კრიტერიუმები სტატისტიკური დასკვნების გამოსატანად.

ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა (STM)

Group	Mean of STM span	N	Std. Deviation
Control group	5,276	29	1,0315
Experimental group	8,000	29	0,0000
Total	6,638	29	1,5526

არაპარამეტრული ტესტი/ I ჰიპოთეზის
ტესტირების სუმირება

The distribution of STM is the same across the experimental group	Independent Samples Mann-Whitney test	.000	Reject the null hypothesis
---	---------------------------------------	------	----------------------------

დამოუკიდებელი ნიმუშების ე.წ. Mann-Whitney U ტესტი

	Experimental group (N)	Control group
Number of students	N=29	N=29
Short-term Memory Span	Mean Rank= 44	Mean Rank= 15.00

შენიშვნა: ექსპერიმენტულ ჯგუფში ხნმ მეხსიერების მოცულობა უფრო მაღალი იყო. განსხვავება კონტროლ-ჯგუფსა და ექსპერიმენტულ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანია.

Total N	58
Mann-Whitney U	841.000
Wilcoxon W	1,276.000
Test Statistic	841.000
Standard error	59.838
Standard Test Statistic	7.027
Asymptotic Sig. (2- sided test)	. 000

ხნმ მოცულობა ექსპერიმენტულსა და კონტროლ-ჯგუფებში
ექსპერიმენტულ ჯგუფში ხნმ მეხსიერების მოცულობის საშუალო= 8 (60%).

კონტროლ ჯგუფში ხნმ მოცულობის საშუალო= 5.276 (40%).

ქულები (Grades /points)

Group	Mean	N	Std. Deviation
Control group	22,897	29	4,8796
Experimental group	26,414	29	1,3501
Total	24,655	29	3,9672

ექსპერიმენტულ ჯგუფში მიღებული ქულების რაოდენობა უფრო მაღალია (26,414) კონტროლ-ჯგუფთან შედარებით (22,897).


არაპარამეტრული ტესტები/ II ჰიპოთეზის ტესტის შეჯამება

Asymptotic significances are displayed. The significance level is 0.5

Null hypothesis	Test	Sig.	Decision
The distribution of points is the same across group categories	Independent samples Mann-Whitney U Test	006	Reject the null hypothesis

ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია.

Independent-Samples Mann-Whitney U Test



Cont. group: N=29

Exp. Group: N=29


Frequency

ექსპერიმენტულ ჯგუფში ქულები უფრო მაღალია. განსხვავება ექსპერიმენტულსა და კონტროლ-ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

Total N	58
Mann-Whitney U	594.000
Wilcoxon W	1,029,000
Test Statistic	594.000
Standard Error	2.724
Asymptotic Sig. (2-sided test)	.006

ქულები (POINTS / GRADES)

ექსპერიმენტულ ჯგუფში ქულების საშუალო უფრო მაღალია (26,414) კონტროლ-ჯგუფის ქულებთან შედარებით (22, 897). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.



Category 1: ექსპერიმენტული ჯგუფი: 26,414

Category 2: კონტროლ-ჯგუფი: 22,897

გენდერი – მეხსიერება
გენდერის მიხედვით ხნმ მეხსიერების მოცულობა
ექსპერიმენტულ ჯგუფში

Gender	Mean	N	Std. Deviation
Masculine	6,067	15	1,6676
Feminine	6,837	43	1,4789
Total	6,638	58	1,5526

არაპარამეტრული ტესტები

ჰიპოთეზის ტესტის შეჯამება

Note: Asymptotic significances are displayed. The significant level is 0.5

Null Hypothesis	Test	Sig.	Decision
The distribution of points is the same across gender categories	Independent Samples Mann-Whitney U Test	0.99	Retain the null hypothesis

გენდერული განსხვავებები ხნმ მოცულობის მიხედვით არ გამოვლინდა.

Total N	58
Mann-Whitney U	409.000

Wilcoxon W	1,355.000
Test Statistic	409.000
Standard Error	52.404
Standardized Test Statistic	1.651
Asymptotic Sig. (2-sided test)	0.99

გენდერი / ქულები

Gender	Mean	N	Std. Deviation
Males	23,467	15	4,0860
Females	25,070	43	3,8877
Total	24,655	58	3,9672

არაპარამეტრული ტესტები

Note: Asymptotic significances are displayed. The significant level is .05.

Null hypothesis	Test	Sig.	Decision
Distribution of points is the same across gender categories	Independent Samples Mann-Whitney U Test	.027	Reject the null hypothesis

გენდერი / ქულები

გენდერის მიხედვით, მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებს უფრო მაღალი ქულები ჰქონდათ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

კ ი თ ხ ვ ა რ ი

1. იყო თუ არა პრეზენტაციების შესრულება საინტერესო?	ა. დიახ ბ. არა	ა. 25 სტ. ბ. 4 სტ.	ა. 86% ბ. 13,8%
2. ისწავლეთ თუ არა რაიმე ახალი ფსიქოლოგიური ტესტის შესრულების შემდეგ?	ა. დიახ ბ. არა	ა. 15 სტ. ბ. 14 სტ.	51,7% 48,3%

3. რა მიზანს ისახავდა პრევენტაციების შექმნა?	ა. განვლილი მასალის გამეორებას; ბ. განვლილი მასალის გამეორებას და ახალი მასალის მოძიებას; გ. განვლილი მასალის გამეორებას, ძიებას, დასწავლასა და ახალი მასალის წარდგენას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.	ა. 8 სტ. ბ. 8 სტ. გ. 13 სტ.	ა. 27,6% ბ. 27,6% გ. 44,8%
4. რა გამოძრავებდათ მიზნის მისაღწევად პრევენტაციების შექმნისას?	ა. სახალისოა ზეპირად სწავლა. ბ. სახალისოა ახალი მასალის ძიება. გ. სახალისოა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დამოუკიდებლად მოძიებული ახალი მასალის დახარისხება / დამუშავება, საკუთარი დასკვნების გამოტანა და აუდიტორიისთვის წარდგენა	ა. 3 ბ. 6 გ. 20	ა. 10,3% ბ. 20,7% გ. 69,0%

2.2. თვისობრივი ანალიზი

ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ:

ა. ხანმოკლე მეხსიერების (ხნმ) მოცულობის ინდიკატორი ექსპერიმენტულ ჯგუფში უფრო მაღალი იყო (8), ვიდრე კონტროლ-ჯგუფში (5,276). განსხვავება ექსპერიმენტულ და კონტროლ-ჯგუფებს შორის

სტატისტიკურად სანდოა. გენდერული განსხვავებები არ გამოვლინდა.

ბ. შუალედურ ტესტში მიღებული ქულები ექსპერიმენტულ ჯგუფში უფრო მაღალი იყო (26,414), ვიდრე კონტროლ-ჯგუფში (22,897). გამოვლინდა, რომ მდებრობითი სქესის სტუდენტებს უფრო მაღალი ქულები ჰქონდათ, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს.

დაისმის კითხვა: რამ გამოიწვია ასეთი შედეგები? კითხვარიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოცემულმა დავალებამ ექსპერიმენტული ჯგუფის 25 სტუდენტში (86%), გარდა 4 სტუდენტისა (13%), აღძრა ინტერესი. ინტერესმა შექმნა ფსიქოლოგიური განწყობა (უზნაძე 1964). ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, მოახდინა მოტივაციის სტიმულირება.

(N.B. მიუხედავად იმისა, რომ ოთხმა სტუდენტმა არ გამოხატა ინტერესი პრეზენტაციების მიმართ, რადგან ისინი მიზნად ისახავდნენ მხოლოდ დავალების შესრულებას, მათი ხნმ მოცულობაც 8 ერთეული აღმოჩნდა და მათი ქულები – უფრო მაღალი კონტროლ-ჯგუფთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შემდეგ დაეძლიათ კოგნიტური დეფიციტი ვარჯიშითა და რეპეტიციით).

კოგნიტური პროცესი ეტაპობრივად შემდეგნაირად მიმდინარეობს:

დავალება > მიზანი > ინტერესი > განწყობა > მოტივაცია

მოტივაციამ, რომელიც მოიცავს ბიოლოგიურ, ემოციურ, სოციალურ და კოგნიტურ ფაქტორებს, მოახდინა სტუდენტების ქცევის გააქტიურება. პრეზენტაციებმა გამოიწვია ინდივიდში არა მარტო გარეგანი მოტივაცია (როგორიცაა, მაგალითად, მაღალი ქულა, ჯილდო, რაც გულისხმობს მასწავლებლისა და აუდიტორიის მიერ მის შექებასა და აღიარებას), არამედ შინაგანი მოტივაცია (რაც, პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში, აღძრავს შინაგან კმაყოფილებას (Cherry 2015). ამით სისტემატურმა პრეზენტაციებმა ხელი შეუწყო სტუდენტებს უფრო კარგად დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას, რაც გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა:

ა. გადაწყვეტილების მიღება;

ბ. შეუპოვრობა და სიმტკიცე – უწყვეტი მცდელობა

დასახული მიზნის მისაღწევად წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაშიც კი;

გ. ინტენსიური რეგულარული დასწავლა, დისკუსი-ებში მონაწილეობა, საგანმანათლებლო მიზნების მისაღწე-ვად კვლევითი სამუშაოს უპირატესობაში დარწმუნება;

დ. ძიება, რაც, თავის მხრივ, იწვევს შემოქმედებითი პროცესის სტიმულირებას.

კითხვარის შედეგები ასეთია:

1. 25-მა სტუდენტმა (86%) დადებითად უპასუხა პირველ შეკითხვას (იყო თუ არა პრეზენტაციების შესრულება საინტერესო?), მხოლოდ 4-მა სტუდენტმა (13,8%) – უარყოფითად.

2. სტუდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს მეორე შეკითხვას (ისწავლეთ თუ არა რაიმე ახალი ფსიქოლოგიური ტესტის შესრულების შემდეგ?):

ა. 15 სტუდენტმა (51,7%) დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას;

ბ. 14 სტუდენტმა (48,3%) – უარყოფითად.

ასეთი პასუხი ბუნებრივად იყო, რადგან ეს ფსიქოლოგიური ტესტი მიზნად ისახავდა სტუდენტთა ხანმოკლე მეხსიერების გაზომვას და არა რაიმე ახლის სწავლას.

3. რა მიზანს ისახავდა პრეზენტაციების შექმნა?

ა. განვლილი მასალის გამეორებას – 8 სტ. (27,6%);

ბ. განვლილი მასალის გამეორებას და ახალი მასალის მოძიებას – 8 სტ. (27,6%);

გ. განვლილი მასალის გამეორებას, ძიებას, დასწავლასა და ახალი მასალის წარდგენას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით – 13 სტ. (44,8%).

4. რა გამოძრავებდათ მიზნის მისაღწევად პრეზენტაციების შექმნისას?

ა. სახალისოა ზეპირად სწავლა – 3 სტ. (10,3%);

ბ. სახალისოა ახალი მასალის ძიება – 6 სტ. (20,7%);

გ. სახალისოა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დამოუკიდებლად მოძიებული ახალი მასალის დახარისხება/დამუშავება, საკუთარი დასკვნების გამოტანა და აუდიტორიისთვის წარდგენა – 20 სტ. (69%).

3. დასკვნები

ექსპერიმენტის შედეგები ცხადყოფს, რომ სისტემატური პრეზენტაციები ხელს უწყობს კოგნიტური დეფიციტის გადალახვას უცხოური ენის ოთხივე უნარში (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა); აუმჯობესებს სტუდენტის მეხსიერებასა და მიღწეულ შედეგებს.

სისტემატური პრეზენტაციები ხელს უწყობს:

ა. წინარე ცოდნის გაღრმავებასა და გამოყენებას;
ბ. ძიებას მოცემულ საკითხზე დამატებითი ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლად;

გ. მასალის ორგანიზებას;

დ. კვლევის წარმოებასა და მასალის გამოყენებას ვიზუალური დემონსტრირებისთვის;

ე. მოკვლეული აუდიომასალის გამოყენებას;

ვ. მოხსენების წინასწარ მომზადებას წერილობითი ფორმითა და მის ზეპირად წარდგენას;

ზ. დასკვნების წინასწარ გამოტანასა და აუდიტორიისთვის წარდგენას წერილობითი და ზეპირი ფორმით;

თ. დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემასა და დისკუსიებში მონაწილეობას;

ი. გამოყენებული ლიტერატურის სიის მომზადებასა და აუდიტორიისთვის წარდგენას.

ნათელია, რომ პრეზენტაციების სისტემატური შექმნა სტუდენტში აღძრავს ინტერესს, ზრდის მის მოტივაციასა და ავლენს შემოქმედებით უნარებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს არსებული კოგნიტური ბარიერების გადალახვას, მეხსიერების გაუმჯობესებას, ცოდნის დაგროვებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ენის შემდგომი დაუფლების, პროფუნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ამგვარად, დამტკიცდა ჩვენი ჰიპოთეზები, რომ:

ჰიპოთეზა (I): მეორე ენის დაუფლების პროცესში სისტემატური პრეზენტაციები აუმჯობესებს მეხსიერების მოცულობას;

ჰიპოთეზა (II): სისტემატური პრეზენტაციები ხელს უწყობს კოგნიტური ბარიერის გადალახვას უცხოური ენის შესწავლის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

იმედაძე 2007 – იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თავი XII. მეხსიერება, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2007.

უზნაძე 1964 – უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.

ფარჯანაძე 2008 – ფარჯანაძე დ., „მეხსიერების ფსიქოლოგია“ შ.პ.შ. თათა სოლუმნების“ მიერ, თბილისი, 2008.

ფსიქოლოგიის საფუძვლები 2011 – ფსიქოლოგიის საფუძვლები, ი. იმედაძის რედაქციით, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2011.

Archibals 2006 – Archibals J. et al. A review of the Literature on Second Language Learning. Language Research Learning Center (LRC) of the University of Calgary. Alberta Education, Alberta, Canada, September, 2006.

Atkinson... 1968 – Atkinson R. S., Shiffrin R. M., Human Memory: A proposed System and its control processes. In: K.V. Spence and J.T. Spence, The Psychology of learning and motivation (vol.2), New York, Academic Press, 1968.

Baddely... 1974 – Baddely, A.D., and Hitch, G. J. Working Memory. In G.H. Bower (ed.), The psychology of learning and motivation: advances in research and theory (Vol. 8). New York. Academic Press, 1974.

Baddely... 1975 – Baddely, A.D., Thomson, N., & Buchanan, M., Word length and the structure of short term memory. Journal of Verbal Learning and Verbal Behavior, 14, 575-589, 1975.

Baddeley 1997 – Baddeley A., Human Memory, Theory and Practice. Psychology Press. London, 1997.

Clicksberg 1963 – Clicksberg D. H., A Study of the Span of Immediate Memory among Adult Students of English as a Foreign Language. Unpublished doctoral dissertation, University of Michigan, 1963.

Cook 1977 – Cook V.J., Cognitive Processes in second language learning. International Review of Applied Linguistics. XV/1:20. 1977.

Cook 1990 – Cook V.J., Timed comprehension of binding in advanced L2 Learners of English. *Language Learning*, 40, 4, 557-599, 1990.

Cook 1991 – Cook V.J., *Second Language Learning and Language Teaching*. Edward Arnold, A division of Hodder & Stoughton, London New York, Melbourne, Auckland, p. 51, 1991.

Cook 1997 – Cook V.J., The consequences of bilingualism for cognitive processing. In A. de Groot & J.F. Kroll (eds.), 1997 *Tutorials in Bilingualism: Psycholinguistic Perspectives*, Lawrence Erlbaum, pp. 279-300, 1997.

Coppetiers 1987 – Coppetiers R., Competence differences between native and near-native speakers. *Language*, 63,3,545-473, 1987. http://en.wikipedia.org/wiki/Presentation_program.

Gerrig... 2002, 2009 – R., and Zimbardo, P., *Psychology and Life*. Allyn & Bacon, A Pearson Education Company, 2002, 2009.

Cherry 2015 – Kendra Cherry, ‘The Influence of Learners’ Motivation and Attitude on Second Language Teaching’. ISSN 1799-2591. *Theory and Practice in Language Studies*, Vol. 5, No.11, pp 2333-2339, November 2015. DOI: <http://dx.doi.org/10.17507/tpls.0511.18>. 2015.

Ohata 2006 – Kota Ohata, Auditory Short-term Memory in L2 Listening Comprehension Processes. *Journal of Language and Learning*. Vol. 5, Number 1. ISSN 1475-8989, 2006.

Lehtonen...1988 – Lehtonen J., & Sajavaara, K., A Comparison of second language learners and monolinguals on divergent thinking tasks at the elementary school level. *MLJ*. 58, 10-15, 1988.

Magiste 1979 – Magiste E., The competing linguistic systems of the multilingual: a developmental study of decoding and encoding processes. *Journal of Verbal Learning and Verbal Behavior*, 18, 79-89, 1979.

Magiste 1986 – Magiste, E.,. Selected issues in second and third language learning. In J. Vaid (ed.) *Language Processing in Bilinguals: Psycholinguistic and Neurolinguistic Perspectives*. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum. 1986,

Miller 1956 – Miller G.A., The Magical number seven, plus or minus two: Some limits on our capacity for processing information. *Psychological Review*, 63, 1956.

Miller 2009 – Miller A. C. and Keenan, J.M., How word decoding skill impacts text memory: The centrality deficit and how domain knowledge can compensate. *Annals of Dyslexia*, 59-113, 2009.

Miller 2012 – Miller A.C. and Keenan, J.M., Understanding the centrality deficit: Insight from Foreign Language Learners. *Mem. Cognit.* Author manuscript; available in MPC 2012 July 1. Published in Final Edit form as *Mem Cognit.* 2011 July; 39(5): 873-883 doi: 10.3758/s 13421-010-0062z PMID: PMC3 121914 NIHMSID: NIHMS287169. 2012.

Sperling 1967 – Sperling G., Successive approximations to a model of short-term memory, *Acta Psychologia*, 1967.

The TKT Essentials Course. Teaching Knowledge Test. Participant's Worksheets.

The British Council English Global Product.

[http://tutorials.istudy.psu.edu/oral presentations/oralpresentations2.html](http://tutorials.istudy.psu.edu/oral%20presentations/oralpresentations2.html)).

Чуковский 1963 – Чуковский К., *От Двух До Пяти*. Государственное Издательство Детской Литературы Министерства Просвещения РСФСР, Москва, 1963.

Natalia Urushadze

**PRESENTATION - AN EFFECTIVE STRATEGY
FOR OVERCOMING THE COGNITIVE BARRIER
IN THE PROCESS
OF TEACHING A FOREIGN LANGUAGE**

Summary

The main goal of the research is to determine the role of presentations when coping with barriers of cognition in the process of foreign language learning. Adult Students are faced with formidable obstacles due to cognitive deficit, which creates the barrier to communication. Regularly made presentations enhance the students to overcome cognitive deficit in 4 main skills, improve their memory and promote steady progress in achieving successful results in foreign language acquisition.

დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე

საქართველოს ისტორიის საკითხები კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებში

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა საქართველოს ისტორიას, განსაკუთრებით ძველ და შუასაუკუნეების ეპოქებს, ჰქონდა საინტერესო დაკვირვებები.

1. კალისტრატე ცინცაძის შენიშვნები ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას წიგნზე „საქართველოს ისტორია“

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ბიოგრაფიაში არსებობს ერთი საინტერესო ფაქტი მისი სტუდენტობის პერიოდიდან – როდესაც იგი მეორე კურსზე სწავლობდა, მის უნარსა და სიბეჯითეს ყურადღება მიაქცია არქეოლოგიის პროფესორმა ნ. პეტროვმა და დაავალა რუსი ისტორიკოსის, ნ. ნოვიკოვის მიერ უამრავი შეცდომით გამოცემული რუსი მოგზაურების – ალექსი ტოლოჩანოვისა და დიაკონ იევლევის – იმერეთში 1650-1652 წლებში მოგზაურობის აღწერილობის გამართვა. კალისტრატე ცინცაძეს შეუსწორებია შეცდომები ტექსტში, რომლის ნაწილი გამოქვეყნდა კიევში 1890 წელს. მისი შრომით პროფესორი ნ. პეტროვი კმაყოფილი დარჩენილა და იგი თავის თანამემწედ დაუნიშნავს (კალისტრატე ცინცაძის

პირადი ფონდი, საქმე 147, ფურცელი 1).¹ აღნიშნული ღვაწლის შესახებ მითითებულია ნიკო ნიკოლაძის „ნოვოე ობოზრენიეში“ 1913 წელს მელიტონ კელენჯერძის სახელით დაბეჭდილ რეფერატშიც.

კალისტრატე ცინცაძე, ეკლესიის ისტორიის გარდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ისტორიით. საქართველოს ისტორიასთან მიმართებით იგი ეცნობოდა თითქმის ყველა ხელმისაწვდომ ლიტერატურას. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კალისტრატე ცინცაძის პირად ფონდში და მასთან დაახლოებულ ბაბო დადიანის საოჯახო არქივში დაცული ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შემდეგ ფაქტს ეხება: 1943 წელს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ავტორობით გამოიცა „საქართველოს ისტორია“ დამხმარე სახელმძღვანელოდ საშუალო სკოლებისათვის, რომელიც მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. წიგნის რედაქტორი იყო სიმონ ჯანაშია. კალისტრატე ცინცაძე გულმოდგინედ გასცნობია გამოქვეყნებულ შრომას, რაზეც მეტყველებს მის მიერ გაკეთებული შენიშვნები. ამ შენიშვნების შესახებ მას საუბარი ჰქონია ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, ლიტერატურათმცოდნე იროდიონ სონდულაშვილთან. ამ უკანასკნელს აღნიშნულის შესახებ უცნობებია სიმონ ჯანაშიასთვის. წიგნის რედაქტორი დაინტერესებულა ამ შენიშვნებით და მათი მიწოდება უთხოვია კათოლიკოს-პატრიარქისთვის. კალისტრატე ცინცაძემ 1944 წლის 25 მარტს მასთან დაახლოებული პირის, ბაბო დადიანის მეშვეობით წერილი გაუგზავნა სიმონ ჯანაშიას, რომელშიც სწერდა:

„ღრმად პატივცემულო ბ. სიმონ!

ჩვეულებრივ სიტყვადუნწ იროდიონ სონდულაშვილს რატომღაც თქვენთვის მოუხსენებია, რომ მე შენიშვნებს ვაკეთებდი „საქართველოს ისტორიის“ კითხვის დროს. თქვენ გამოგეთქვათ სურვილი შენიშვნების გადათვალიერებისათვის. ვასრულებ თქვენს სურვილს,

¹მდრ.: ხოფერია 2017, №2 (27): 36-37; ტაბიძე 2008, : 41-42; როსტომაშვილი 2009: 136-137

მაგრამ გაფრთხილებთ, ეს შენიშვნები შემთხვევითი ხასიათისაა და არავითარი კრიტიკისებური პრეტენზიები არ აქვთ... თუ შეიწყუბებთ თავს და ინებებთ შენიშვნების გადასინჯვას გულმოდგინედ, გთხოვთ: სულგრძელობის ზეწარი გადააფარეთ საქართველოს წარსულის მოყვარულ მოხუცის კადნიერებას და შეუდეთ ნებსით თუ უნებლიეთნი შეცოდებანი. წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ, ამისათვის ვფიქრობ ყოველი საეჭვო იქედან უნდა იქმნეს განდევნილი, ცნობები დაზუსტებული და ენა დახვეწილი. ცოდვა არ იქნება, ენის მხრივ წიგნის გადათვალთვლება მიენდოს ქართულის კარგ მცოდნესა” (კალისტრატე ცინცადის პირადი ფონდი, საქმე 127).²

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცადის მიერ გამოთქმულია ოთხმოდამდე შენიშვნა, რომლებიც უკავშირდება ფაქტოლოგიურ, სტილისტურ, ენობრივ და სხვა საკითხებს. ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია საკამათოც იყოს, მაგრამ უმეტესწილად შენიშვნები იმ ხარვეზებს ეხება, რომლებიც ტექსტში რეალურად არსებობდა. კალისტრატე ცინცადე მართებულად შენიშნავდა, რომ „ვეფხვი წმინდა ცხოველი არ არის“; „გიწერიათ: „ძველი წარმართული ღმერთები ნაწილობრივ ქრისტიანულ ღმერთებად იქცნენ“. ქრისტიანებს ღმერთები არ ჰყავთ. „მწამს ერთი ღმერთი!“ – სწერია სარწმუნოების სიმბოლოში“; „მცხეთაში სიონის ტაძარში“, „უნდა იყოს სვეტიცხოველში“; „წიგნში ნახმარია: ძველი წელთაღრიცხვა, ჩვენი წელთაღრიცხვა... ძველი, რომელი იგულისხმება: ებრაული, ბერძნული თუ რომაული? ახალი – ქრისტიანული თუ მაჰმადიანური? ვფიქრობ, თუკი „ქრისტიანული“ შეუძლებელია, ვიხმაროთ „ჩვენი“. წიგნში ყველგან ნახმარია „ქრისტიანული“, ვფიქრობ, ეს რუსეთის გავლენით არის შემოღებული, სჯობია „ქრისტიანული“; „ღმერთების, განმარტებაა საჭირო, – რა არის ღმერთი?“ „ქურუმები ტაძრის მსახურებად კი არა, ღვთის მსახურებად ითვლებოდნენ“. კალისტრატე ცინცადე მართებულად მოითხოვდა ზოგიერთი სიტყვის განმარტებას: „მამფალი“, „მაგისტროსი“, „ქორეპისკოპოსი“, „დიოფიზიტობა“,

²შდრ.: პაპუაშვილი 1986: 107; პაპუაშვილი 2014: 256; ცინცადე 2010: 489-499

„მოწოდებები“, „მანიქეველობა“ და სხვ. (პაპუაშვილი 1999: 170-198).

შორს წავიყვანს კალისტრატე ცინცაძის ყველა შენიშვნის განხილვა, მაგრამ მოტანილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი ერუდიციის მქონე მწიგნობარი და სამეცნიერო მოღვაწე იყო იგი.

2. კალისტრატე ცინცაძე ნიკიფორე ირუბაქიდის (ირუბაქის) ღვაწლის შესახებ

კალისტრატე ცინცაძის სამეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული წიგნის ბეჭდვის სამას წლისთავთან დაკავშირებით დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევა „ნიკიფორე ირუბაქის ვინაობისათვის (ქართული წიგნის 300 წლის იუბილეს გამო)“. ეს შრომა კალისტრატე ცინცაძემ მიტროპოლიტობის დროს დაწერა. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კალისტრატე ცინცაძის ფონდში დაცული დასახელებული ნაშრომის ხელნაწერზე არსებული ავტორის მინაწერებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული შრომა ფსევდონიმით „კ. ეკაშვილი“ უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნალ „მნათობში“, მაგრამ ფსევდონიმის გამოყვანების შემდეგ ხელნაწერი უკან დააბრუნეს. ხელნაწერის მეორე ეგზემპლარი წაუღიათ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოსაქვეყნებლად, მოსწონებიათ, მაგრამ არ დაუსტამბავთ; ხელნაწერის მესამე ცალი „მნათობში“ ან „ლიტერატურულ საქართველოში“ უნდა გამოქვეყნებულიყო, რაზეც მიგვანიშნებს რედაქტორის მინაწერი: „წერილი იბეჭდება საკითხის დადგინებისათვის, მაგრამ მან დღის სინათლე მაინც ვერ იხილა“ (კარიჭაშვილი 1927: 23). ჩვენი აზრით, აღნიშნული შრომის გამოუქვეყნებლობის მიზეზად იქცა ის, რომ კალისტრატე ცინცაძე სასულიერო პირი იყო, თანაც – მაღალი იერარქიის მღვდელმთავარი და გამმაფრებული ათეიზმის დროს მას შრომას არავინ დაუბეჭდავდა, როგორი მაღალი მეცნიერული დონისაც არ უნდა ყოფილიყო ის. ამ ნაშრომის პირველი პუბლიკაცია უკავშირდება კალისტრატე ცინცაძის მდიდარი მემკვიდრეობის შემფასებლის, მკვლევარ ნუგზარ პაპუაშვილის სახელს (ცინცაძე 1999: 170-198).³

³შდრ.: ცინცაძე 2010: 212-215

ნაშრომი, მართალია, ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლის იუბილეს ეძღვნება, მაგრამ მის ძირითად მიზანს წარმოადგენს რომში იტალიურ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვაში სტეფანე პოლინისთან ერთად მონაწილე ქართველი სასულიერო პირის – ნიკიფორე ირიბაქის ვინაობის დადგენა და მისი მოღვაწეობის წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 1927 წელს გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის მონოგრაფია „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1935 წელს, „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში დაიბეჭდა კორნელი კეკელიძის ნაშრომი „ნიკიფორე ირიბაქი ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“. კალისტრატე ცინცაძე თავის შრომაში იყენებს დავით კარიჭაშვილის დასახელებულ ნაშრომს, რომელსაც იგი კრიტიკულად განიხილავს. რაც შეეხება კორნელი კეკელიძის თხზულებას, ის 1929 წელს დაიწერა და, ბუნებრივია, ვერ გამოიყენებდა.

კალისტრატე ცინცაძე ძირითად აქცენტს აკეთებს იტალიურ-ქართული ლექსიკონის თავფურცლის წარწერაზე, რომელიც მიუთითებს, რომ იტალიელ ბერთან, სტეფანე პოლინისთან ერთად ლექსიკონის შედგენასა და ბეჭდვაში მონაწილეობა მიუღია ქართველ ნიკიფორე ირიბაქს, რომელიც „წმინდა ბასილის წესის მონაზონი ყოფილა“. ნაშრომის დასაწყისში კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს ის 1626 წელს ევროპაში ელჩად გაუგზავნია. ამ შეხედულების საპირისპიროდ დავით კარიჭაშვილმა 1927 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერილობითი წყაროების განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველზე დაასკვნა, რომ თეიმურაზ პირველის მიერ გაგზავნილი ელჩი და, შესაბამისად, იტალიურ-ქართული ლექსიკონის დამხმარე შემდგენელი და გამომცემელი უნდა ყოფილიყო არა ქართველი ნიკიფორე-ნიკოლოზ ირუბაქი, არამედ ტომით ბერძენი, რომელიც საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდა და მეფე თეიმურაზ პირველმა იგი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა (ცინცაძე 1999: 170-198).⁴

⁴შდრ.: ცინცაძე, 2010: 212-215

კალისტრატე ცინცაძე სკრუპულოზურად, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს დავით კარიჭაშვილის მოსაზრებას და მის მიერ გამოყენებული წყაროების გამოკვლევის საფუძველზე ახლებურად აანალიზებს საკითხს. დავით კარიჭაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ასკვნის, რომ წყაროებში დასახელებული, მე-17 საუკუნის 30-იან წლებში რუსეთში გაგზავნილი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, იგივე ნიკიფორე, არის ბერძენი, რომელიც მეფე თეიმურაზ პირველმა მანამდე ევროპაში მიავლინა ელჩად (ცინცაძე 1999: 170-198).⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით კალისტრატე ცინცაძე წერილობით მასალაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ დავით კარიჭაშვილის მოსაზრება უსაფუძვლოა – მას არასწორად მოაქვს წერილობითი წყაროების ცნობები და ყურადღებას არ აქცევს იტალიურ-ქართული ლექსიკონის წარწერას, რომელიც გარკვევით მიუთითებს, რომ სტეფანო პაოლინის დამხმარე იყო წმინდა ბასილის წევრი, ტომით ქართველი ნიკიფორე ირიბაქი.

კალისტრატე ცინცაძე პუნქტობრივად განიხილავს დავით კარიჭაშვილის ყველა მოსაზრებას და საინტერესო დასკვნებს აკეთებს (ცინცაძე 1999: 170-198).⁶ საკითხის კვლევისას იგი იყენებს რუსულ და ქართულ წყაროებს, კათოლიკე მისიონერების ცნობებს. მას უზვი მასალა მოაქვს მიხეილ თამარაშვილის 1902 წელს გამოცემული ნაშრომიდან, რომელშიც იტალიის არქივებში დაცული საყურადღებო ცნობებია წარმოდგენილი ნიკიფორე, იგივე ნიკოლოზ, ირუბაქიძის შესახებ. ის, ასევე, ეყრდნობა საინტერესო მასალებს რუსი ელჩების – ტოლოჩანოვისა და იევლიევის „მუხლობრივი“ ამონაწერებიდან, რომლებიც 1650-1652 წლებში იმერეთის სამეფოში იმყოფებოდნენ; აგრეთვე იყენებს ფედოტი ელჩინისა და პავლე ზახარევის 1639-1640 წლებში სამეგრელოს სამთავროში ელჩობის აღწერილობას. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ორივე ელჩობის წარმომადგენლები ასახელებენ ნიკიფორე ირიბაქს, რომელიც ერთხანს იმერეთსა და სამეგრელოში ეპისკოპოსის ხარისხს ატარებდა. მანამდე იგი იერუსალიმში ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი ყოფილა.

⁵შდრ.: ცინცაძე 2010: 220

⁶შდრ.: ცინცაძე 2010: 238

კალისტრატე ცინცაძე იკვლევს ნიკიფორეს გვარის წარმომავლობას – „ირიბაქი“. ამ გვარით იყო ცნობილი იგი ევროპაში და წყაროებშიც ამგვარად იხსენიება, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის არაქართულ წარმოშობას. თავისი მოსაზრების გასამყარებლად კალისტრატე ცინცაძეს მოაქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მე-13-მე-14 საუკუნეების ზატიკის ერთ-ერთ ფურცელზე არსებული მინაწერი: „მაცხოვრე მე ცოდვილი იერუბაქის ჩოლოყაშვილი ბეენა... იერუსალიმს მოვიწვიე ანუ 1512 წ.“ ამავე მონასტრის აღაპებში აღნიშნულია: „დეკემბრის პირველი აღაპი საუკუნო იერუბაქის ძისა ჩოლოყას შვილის ბაადურისა“, ხოლო იერუსალიმის წმ. თევდორეს ტაძრის კედელს ამშვენებს წარწერა: „ქ. ღმერთო და წმიდაო თეოდორე შეიწყალეთ ირუბაქიძე... ჩოლოყაშვილი ცოდვილი ბეენა... ეს საყდარი აღვაშენე ქრონიკონს ტკგ., ე.ი. 1635 წელს“ (ცინცაძე 1999:170-198).⁷

მოტანილი საბუთების საფუძველზე კალისტრატე ცინცაძე მეტად ყურადსაღებ დასკვნას გვთავაზობს: ჩოლოყაშვილების გვარში გავრცელებული უნდა ყოფილიყო საკუთარი სახელი ირიბაქი; ეს სახელი უნდა რქმეოდა ნიკიფორეს ერთ-ერთ წინაპარს და მისგან უნდა გადასულიყო შთამომავლობაზე. ევროპაში მოგზაურობის დროს ნიკიფორეს თავის გვარად გამოუცხადებია ირიბაქი, იმიტომ რომ, როგორც ევროპული ენების მცოდნეს, კარგად ესმოდა, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ევროპელთა ყურისათვის ისეთი ბგერების წარმოთქმა, როგორებიცაა ჩ, ყ, შ და სხვ. რაც შეეხება გვარიდან ბოლო ნაწილის – „შვილისა“ თუ „ძეს“ – ჩამოშორებას, ეს ჩვენს დროშიც ჩვეულებრივი მოვლენაა.

დოკუმენტებისა და მასალების სათანადოდ გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად კალისტრატე ცინცაძე დაასკვნის: **ნიკიფორე ირუბაქიძე იყო აღმოსავლეთ საქართველოდან, კახეთიდან, ჩოლოყაშვილთა, იგივე ჩოლოყაძეთა გვარის განათლებული, წარჩინებული ოჯახიდან. ამ ოჯახის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ნიკიფორე (ერისკაცობაში – ნიკოლოზი) ირუბაქიძე, ევროპული ტრანსკრიფციით – ირუბაქი.**

⁷შდრ.: ცინცაძე 2010: 22

კალისტრატე ცინცაძის აზრით, მისი ოჯახის წევრები და უახლოესი ადამიანები იყვნენ: მამა ომანი, დედა – მონაზვნობაში ბარბარე, ძმა ქაიხოსრო (ქეთევან დედოფლისა და თეიმურაზის სახელგანთქმული მოურავი და „ომანიანის“ ავტორი); ცნობილია, ასევე, ბიძის სახელი – იოანე. ამის შემდეგ კალისტრატე გადმოგვცემს მის ბიოგრაფიას: დაიბადა 1580 წელს. ოჯახში კარგი განათლება მიუღია, კარგად იცნობდა ევროპულ და აღმოსავლურ ენებს. კალისტრატე ცინცაძე წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ იგი იყო ბრძენი, მოხერხებული, თავმდაბალი, შესანიშნავი ფილოსოფოსი და რიტორი. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მას მოჰყავს ამონაწერი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის „წყობილისი ტყვაობიდან“, რომელიც შეიცავს ნიკიფორე ირიბაქის დახასიათებას (პაპუაშვილი 2014: 258).⁸

კალისტრატე ცინცაძე წერს, რომ ბერად აღკვეცის შემდეგ ნიკიფორე ირიბაქი განწესებულ იქნა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მმობაში და თავდაპირველად ითვლებოდა ამ მონასტრის თბილისის მეტოქის – ჯვარის მამის წინამძღვრად, შემდეგ კი – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამად, გოლგოთის მონასტრის ილუმენ-არქიმანდრიტად. მისთვის მინდობილი მსახურების გამო იგი ხშირად იმყოფებოდა საქართველოში. მეფე თეიმურაზ პირველმა ასეთი მონაცემების მქონე მღვდელმსახური 1626 წელს ელჩად მიავლინა ევროპასა და რუსეთში. კალისტრატე ცინცაძე წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს მის ელჩობას ევროპაში, განსაკუთრებით კი – ვატიკანში, სადაც იგი დაახლოვება თეატინელ კათოლიკე მისიონერებს და მონაწილეობა მიუღია იტალიურ-ქართული ლექსიკონის შექმნაში. ნიკიფორეს უშუალო დახმარებით ჩამოუსხამთ ვატიკანში ქართული მატრიცები, თუმცა წიგნი მისი წამოსვლის (1628 წ.) შემდეგ, 1629 წელს დაბეჭდილა.

კალისტრატე ცინცაძეს გადაჭარბებულად მიაჩნია კათოლიკე მისიონერების ცნობა ნიკიფორეს თითქოსდა გაკათოლიკების შესახებ და აღნიშნავს, რომ მის კეთილგანწყობილებას ისინი კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლად თვლიდნენ. ნიკიფორე ირიბაქის ახლო

⁸მდრ.: ცინცაძე 1999: 170-198; ცინცაძე 2010: 222

ურთიერთობამ პაპთან და მისიონერებთან მათ იმის საბაზი მისცა, რომ გაევრცელებინათ მცდარი შეხედულება მისი გაკათოლიკების შესახებ (ცინცაძე 1999: 170-198).⁹ თუმცა კალისტრატე ცინცაძე ამ საკითხთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავს, რომ ნიკიფორე ირიბაქი იყო „იწრო სარწმუნოებრივ სექტანტობისგან თავისუფალი და ფართო მსოფლმხედველობის ადამიანი“, რის გამოც, განსხვავებული აღმსარებლობის მიუხედავად, მას კათოლიკებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რასაც ისინი მის კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლად თვლიდნენ (პაპუაშვილი 2014: 257).¹⁰

კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ ევროპიდან დაბრუნებულ ნიკიფორესა და მეფე თეიმურაზ I-ს შორის ჩამოვარდნილა „ერთგვარი გულგრილობა“, რის გამოც იგი, „ჯვარის მამის“ შენარჩუნებით, სამეგრელოში გადასულა, სადაც დიდი პატივით მიუღიათ. სამეგრელოს მთავარს – დადიანს „ვეზირად და მოციქულად“ დაუდგენია, ხოლო 1640 წელს რუსეთის ელჩობაში გაუგზავნია. შემდგომ ნიკიფორე იერუსალიმში გამგზავრებულა, სამეგრელოს მთავრის სახელზე შესაწირავი წაუღია და შვედროვილი თანხით ჯვარის მამის ტაძარი განუახლებია. იერუსალიმში ნიკიფორე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ერთხანს ადგილობრივ სამღვდელოებას მისი იერუსალიმის პატრიარქად კურთხევაც კი მოუსურვებია, რაც ვერ განხორციელდა. მცირე ხნის შემდეგ იგი საქართველოში ბრუნდება და ერთხანს იმერეთში მოღვაწეობს, შემდეგ კი, ეპისკოპოსის რანგში, მოქვის ტაძარში ხვდება საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქ პაის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კალისტრატე ცინცაძე ასკვნის, რომ იტალიურ-ქართული ლექსიკონის შედგენასა და დასტამბვაში ღვაწლი მიუძღვის ნიკიფორე, იგივე ნიკოლოზ, ომანის ძე ჩოლოყაშვილ-ირუბაქიძეს (ცინცაძე 1994: 7-8).¹¹

ასეთია კალისტრატე ცინცაძის შეხედულება ამ მოღვაწის შესახებ. იგი მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა

⁹შდრ.: ცინცაძე 2010: 225

¹⁰შდრ.: პაპუაშვილი 1986: 107

¹¹შდრ.: პაპუაშვილი 2014: 260

და მათი კრიტიკული ანალიზით აკეთებს შესაბამის დასკვნებს. იგი ასაბუთებს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში ორი ნიკიფორე მოღვაწეობდა, რომელთა შორის ერთი იყო ეპისკოპოსი – ეროვნებით ქართველი, ერისკაცობაში – ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, მეორე – მიტროპოლიტი, ეროვნებით ბერძენი.

კალისტრატე ცინცაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დაასაბუთა, რომ ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა აზიარა ქართველი ხალხი იოანე გუტენბერგის გამოგონებას (ცინცაძე, 1994: 10).¹² შესაბამისად, კალისტრატე ცინცაძის აღნიშნული შრომა დღესაც იმსახურებს ყურადღებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კარიჭაშვილი 1927 – კარიჭაშვილი დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბილისი, 1927.

პაპუაშვილი 1986 – პაპუაშვილი ნ., კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, მრავალთავი, XIII, თბილისი, 1986.

პაპუაშვილი 1999 – კალისტრატე ცინცაძე. ნიკიფორე ირიბაქის ვინაობისათვის (ქართული წიგნის 300 წლის იუბილეს გამო). გამოსაცემად მოამზადა ნუგზარ პაპუაშვილმა; მესხეთი (საისტორიო კრებული), III. თბილისი-ახალციხე, 1999.

პაპუაშვილი 2014 – მეცნიერი მწყემსმთავარი. კალისტრატე ცინცაძე. ქადაგებები და სიტყვები. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბილისი, 2014.

როსტომაშვილი 2009 – როსტომაშვილი ნ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), თბილისი, 2009.

ტაბიძე 2008 – ტაბიძე ნ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, თბილისი, 2008.

ცინცაძე 1994 – ცინცაძე კ., ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და სამძებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი, 1994.

ცინცაძე 2010 – ცინცაძე კ., ნიკიფორე ირიბაქის ვინაობისათვის. მწიგნობრობა ქართული, ქართული სასულიერო მწერლობა, ტ. IX. კალისტრატე ცინცაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წიგნი I, თბილისი, 2010.

ხოფერია 2017 – ხოფერია ნ., ძვირფასი ხელნაწერი, ჟურნალი „სამთავროს მაცვლოვანი“, 2017, №2 (27).

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 147, ფურცელი 1; საქმე 127.

Archpriest Besarion Tsintsadze

ISSUES IN THE HISTORY OF GEORGIA IN THE WORKS OF CATHOLICOS-PATRIARCH KALISTRATE TSINTSADZE

Summary

Apart from the history of the church, the Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze was very interested in the history of Georgia. He was familiar with almost all literature related to the history of Georgia. In this regard, mention should be made of an important document stored in the personal fund of Kalistrate Tsintsadze at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts and in the family archive of a person close to him, Babo Dadiani, which refers to the following fact: In 1943, Ivane Javakhishvili, Simon Janashia, and Niko Berdzenishvili published a supplementary textbook for secondary schools on “History of Georgia”, which covered the period from ancient times to the 19th Century. The book was edited by Simon Janashia. Kalistrate Tsintsadze carefully studied the published

work, as evidenced by his comments. Regarding these notes, he had a conversation with a well-known public figure and literary scholar Irodion Songulashvili, who informed Simon Janashia about this. The editor of the book became interested in the notes and asked the Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze to give them. On March 25, 1944, Kalistrate Tsintsadze sent a letter to Simon Janashia through a person close to him, Babo Dadiani.

The Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze had up to eighty remarks, which refer to factual, stylistic, linguistic, and other issues. Some of them might be arguable, but most of them address the inaccuracies present in the text.

The Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze studied the life and work of Nikipore Irubakidze, on the basis of which he made the following conclusion: Nikipore Irubakidze was from Eastern Georgia, Kakheti, from an educated, prominent Cholokashvili family (also known as Cholokadze). One of the branches of this family should have been Nikipore (in worldly life known as Nikolozi) Irubakidze, in European transcription - Irubaki.

ზოია ცხადაია

გიორგი ძიგვაშვილი

გიორგი ძიგვაშვილი დაიბადა 1917 წელს ვანის რაიონის სოფ. ციხესულორში. 1935 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გაიწვიეს წითელ არმიაში, მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების ოპერაციებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი, მწერალი და პედაგოგი, პროფესორი ერეკლე ტატიშვილი, უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფუძემდებელი. გიორგი ძიგვაშვილი სტუდენტობის წლებშივე დაეუფლა ინგლისურ ენას ისე, რომ შესანიშნავად თარგმნიდა მისთვის საინტერესო პოეტურ ტექსტებს. მისი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი, პოეტი (შემდეგ თავადაც რეპრესირებული) ლადო სულაბერიძე წლების შემდეგ ასე გაიხსენებს ტრაგიკულად დაღუპულ თავის თანატოლსა და მეგობარს: „ბატონი ერეკლეს ერთ-ერთი რჩეული მოსწავლეთაგანი იყო გიორგი ძიგვაშვილი... მუშაობდა თავაუღებლად... საჯაროში მისვლა იმიტომ მიხაროდა, ძიგვას ვნახავდი (ძიგვას ვეძახდით მეგობრები). შუალამისას ბიბლიოთეკიდან გამოვდიოდით და ფეხით გავუყვებოდით ორთაჭალისკენ. ის თათრის მოედანზე ცხოვრობდა ბიძასთან, ერთ ოთახში... სხვაზე

უკეთესი სტუდენტი რომ იყო, ამით თავი არ მოჰქონდა... საშუალოზე უფრო დაბალი ტანის იყო, უფრო ჩიაც, ძვალმსხვილობისა და ათლეტურობისა არა ეტყობოდა რა. მიმზიდველი გარეგნობისა კი იყო, სახე ჰქონდა ნათელი და მუდამ შუქიანი. თვალებიდან სულ სიკეთისა და სიწმინდის ელფერი გამოუკრთოდა. მართლაც ასეთი იყო, მართლა კეთილი და წმინდა“ (სულაბერიძე 2000: 71).

ლადო სულაბერიძემ, გარდა იმისა, რომ საინტერესო და გულთბილი ესეი უძღვნა თავის სიყრმის მეგობარს, სხვა მხრივაც შეუწყო ხელი მის დაბრუნებას ქართულ სალიტერატურო სივრცეში. მისი ინიციატივით გამოქვეყნდა გიორგი ძიგვაშვილის რამდენიმე ლექსი და თარგმანი „ლიტერატურულ საქართველოსა“ (25.X.1988) და „მნათობში“ (1990, №7), ასევე, კრებულში „პოეზია“, ხოლო 2000 წელს წიგნად გამოიცა ლადო სულაბერიძის მიერ შედგენილი გიორგი ძიგვაშვილის ლექსების კრებული „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე“. გიორგი ძიგვაშვილი, – წერს ლადო სულაბერიძე კრებულის ბოლოსიტყვაში, – ერთ-ერთი ტრაგიკული ბედის „ჩვენთაობელი“ და, მადლობა ღმერთს, დღეს უფლება გვეძლევა, ამგვარი ბედის ადამიანებზე ვილაპარაკოთ, ვიზრუნოთ, გამოვამზეუროთ მათი ნამოღვაწარი. გიორგის არქივი დაკარგულია. ვერსად აღმოვაჩინეთ. რაც რამ გამოქვეყნებული ჰქონდა ჟურნალებში – ორიგინალური და თარგმნილი ლექსები – თავი მოვუყარეთ და ერთი მცირე ფორმატის, მაგრამ დიდად საინტერესო კრებული შედგა“... (სულაბერიძე 2000: 74).

1984 წელს, რეაბილიტაციამდე ოთხი წლით ადრე, „სიყვარულის წიგნში“ „ცენზურის თვალის ახვევით“ დაიბეჭდა გიორგი ძიგვაშვილის მიერ თარგმნილი რობერტ ბერნსის ლექსი. ამასთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძე წერს: „თუმცა ოფიციალური რეაბილიტაცია ჯერაც იგვიანებდა, შემდგენლები იმას ვეღარ დაელოდებოდნენ და საკუთარი პასუხისმგებლობით შეეცდებოდნენ უსამართლობის გამოსწორებას. ის მეტად თვალშისაცემი იქნებოდა, გიორგი ძიგვაშვილის ორიგინალური სატრფიალო ლექსიც რომ შეეტანათ კრებულში, ვთქვათ, „შეხვედრა“, რომლის პირველივე სტრიქონებსაც მკაფიოდ ეტყობა, რარიგ დამშვენდებოდა ეს ლექსი „სიყვარულის წიგნს“:

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა –
 ღამით შევხვდი და არ დამიღამდა,
 შუქი კმაროდა მისი,
 დავიწყე, მაგრამ თითონ დამასწრო:
 – ცოლად გამომეყ, ქალო ლამაზო, –
 ამას მეტყვიო, ვიცი.

მაგრამ ამ ლექსის ცენზურისათვის, აბა, რამნიშვნელობა ექნებოდა – წითელი ფანქრით გადახაზ-გადმოხაზავდნენ და კვლავ დაუბრუნებდნენ. ბერნსის ავტორიტეტს კი მარჯვედ ამოეფარა და წითელ ფანქარსაც ასე დაუსხლტა (ჩხეიძე 2000: 3).

შეიძლება ითქვას, ასე, ინიციალებით, ამოეფარა გიორგი მიგვაშვილის სახელი მირზა გელოვანის ფრონტზე დაწერილ მისდამი მიძღვნილ ლექსს „მეგობარ პოეტს“, რომელიც მირზას პოეტურ კრებულებში არაერთხელ დაბეჭდილა და მიძღვნის ადგილას მხოლოდ ინიციალები იყო აღნიშნული: „გ. ძ...ს“. მირზამ არ იცოდა, რომ გიორგი უკვე დახვრეტილი იყო, იგი ომში ეგულებოდა. რა თქმა უნდა, მას არავინ მისწერდა ამის შესახებ – ჯერ ერთი, ტაბუდადებული თემა იყო, მერედა, გულსაც არ ატკენდნენ... მისი მთელი ტექსტი გაჯერებულია მონატრებით, სიყვარულით, სინანულით, შიშით, რომ „დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი, ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟოს“:

იქნებ იმისთვის, რომ საკუთარი
 იყავი გულით და გარეგნულად,
 იქნებ იმისთვის, რომ მე სხვაგვარი,
 შენ სხვაგვარი გზა ბედმა გარგუნა,
 რომ შენი მწარე, ქილიკი ენა
 მე არ შემემძლო ახლოს მეთმინა,
 იქნებ იმისთვის, რომ შენ ერთხელაც
 არ მომიგონებ ასე კეთილად, –
 მე შენ გეძახი... სადა ხარ ეხლა,
 სად იქნევ მკლავებს, ბრძოლას უჩვევი...
 ამაღამ მტერთან მომიჩვეს შეხლა,
 და იქნებ ტყვიას ვერც გადვურჩები.
 ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
 მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს,
 დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,

ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს,
 ...და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
 არ შორდებოდა ძალ-ღონე მიხდილს,
 ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
 და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს,
 ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში,
 სახეს უსისხლოს და განაოცებს,
 ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი,
 და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს, –
 მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
 გისაყვედუროს, გაგკიცხოს შორით,
 თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
 ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს (19.2.43 წელი,
 ფრონტი).

1994 წელს გამოცემულ წიგნში „სამება“ დაიბეჭდა
 გიორგი ძიგვაშვილის ლექსებიც: „გაზაფხული მარაბდის
 სასაფლაოზე“, „ღამე ოპერის ბაღში“ და „შეხვედრა“
 (მირიანაშვილი... 1994).

გიორგი ძიგვაშვილის პოეზიაში ძირითადად
 სატრფიალო და პატრიოტული მოტივებია გულწრფელად
 და სათუთად წარმოსახული. „გაზაფხული მარაბდის
 სასაფლაოზე“ შესანიშნავად გამოხატავს ახალგაზრდა
 პოეტის ეროვნულ სულისკვთებას, წარსულთან
 მის მამულიშვილოურ დამოკიდებულებას. ცხრა ძმა
 ხერხეულიძის ლანდებთან საუბარში იკვეთება მისთვის
 ესოდენ სათაყვანებელი საქართველოს წარსული:

ამ ქვებს რომ ხედავ, ზმებს და ანდაზებს,
 ბევრი ცრემლს ითხოვს, ბევრიც შენდობას.
 აქ საქართველოს სძინავს გარდასულს,
 მის დიდ დარდებს და დიდ უბედობას...

... სანამ ცოცხალ ვართ, – თქვენთან ვიქნებით,
 მოვკვდეთ, დაგვმარხოვნ თქვენსავე მდგმურებად...
 შავს ნუ მოისხამთ მაინც, ბიჭებო, –
 თეთრი აპრილი დაგემდურებათ....

ნიჭიერ, იმედისმომცემ ახალგაზრდასადარდასცალდა,
 გაეგრძელებინა საყვარელი საქმე. თავისუფლების
 წყურვილმა იმ გზით წაიყვანა, რომელიც ტრაგიკულად

დასრულდა მისთვის და მასავით გულანთებული თანამოაზრეებისათვის. ალბათ, ყველა მათგანის სათქმელი იწინასწარმეტყველა ჭაბუკმა პოეტმა ლექსში „სიმღერა ამირანზე“:

– სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
ელვა კრთოდა ჩემი ხმლისა.
კვდები, მაგრამ ჯავრი მიმაქვს
ერთი დევის, ვერაგისა.

საქართველოს ბედზე ფიქრი, როგორც ირკვევა, პირველად კიროვბადში (განჯა), 83-ე მსროლელ პოლკში დაუწყიათ 1941 წლის ივნის-ივლისში გაწვეულ მეთაურებს: გიორგი იმერლიშვილს, კოტე ხიმშიაშვილსა და ილია სეფაშვილს. აგვისტოში ეს ოფიცრები, როგორც მათი საქმებიდან ირკვევა, საქართველოში განლაგებულ ქართულ დივიზიაში გადმოიყვანეს. სწორედ აქ, ავჭალაში განლაგებულ 35-ე სათადარიგო ლეგიონის მეთაურებში აღმოაჩინეს მათ თავიანთი საქმის თანამგრძნობნი, ეროვნული მოძრაობის ენთუზიასტები: კონსტანტინე ჯოგლიძე, შალვა შავიანიძე, გიორგი ძიგვაშვილი; ცხადია, რომ ისინი ანტისაბჭოთა პოზიციებზე იდგნენ. შეთქმულთა ჩანაფიქრი ასეთი იყო: მზად ყოფილიყვნენ, გერმანიისა და საბჭოთა არმიების შეჯახებისათვის ხელი შეეშალათ და გადაერჩინათ ჩვენი ქალაქები და სოფლები დანგრევისაგან, მოსახლეობა – გაჟლეტისაგან. გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებელ-ლი დემოკრატიული რესპუბლიკა, ზოგიერთის აზრით, ინგლის-საფრანგეთზე ორიენტაციით, სხვების მიხედვით – გერმანიის პროტექტორატით. ისინი ცდილობდნენ, განზრახვა საიდუმლოდ შეენახათ, არ აჩქარებულიყვნენ და დახმარების ნაცვლად ზიანი არ მიეყენებინათ ქვეყნისა და ხალხისათვის; როცა 1941 წლის მიწურულს საბჭოთა ჯარებმა სასტიკი დარტყმებით უკუაქციეს გერმანელები, შეთქმულები მიხვდნენ, რომ საბჭოთა იმპერიის დამარცხება ადვილი არ იყო. ამიტომ ამბოხება გამოირიცხა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ამბოხების ბრალდებით დასაჯეს.

პატიმარ კოტე (კონსტანტინე) ჯოგლიძის ჩვენებიდან (საქმე №1964, ტ. 2, ფურც. 525).

კოტე ჯოგლიძე აღნიშნავს, რომ მასთან დაახლოებულმა პირმა, ბრალდებულმა გ. იმერლიშვილმა, ჰკითხა, თუ იცნობდა მათი საერთო აზრის მქონე სანდო პიროვნებას. მან პასუხად უთხრა, რომ ასეთი აზრის სხვაც შეიძლება ყოფილიყო. სხვაში კ. ჯოგლიძე გ. ძიგვაშვილს გულისხმობდა:

„...მე მხედველობაში მყავდა გ. ძიგვაშვილი. ამ უკანასკნელის აზრს მე ვიცნობდი ჩვენი პირადი საუბრებიდან, განსაკუთრებით კი საუბრიდან, რომელიც ეხებოდა ომს, მის მოსალოდნელ შედეგებს და საქართველოს ბედს იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. იმერლიშვილმა მითხრა, თუ ასეთი ხალხი გეგულება, გამაცანი და ერთად ვისაუბროთ ამგვარ საკითხებზეო. მე როგორც მახსოვს, მას ძიგვაშვილის გვარი დაუუსახელე. აგრეთვე ძიგვაშვილსაც ვუთხარი, ამგვარი საკითხებით სხვაც არის დაინტერესებული-მეთქი, რაც მან დიდის ინტერესით მიიღო. თუმცა ისინი ერთმანეთს მანამდისაც იცნობდნენ, მაინც იმერლიშვილმა მითხრა, შენთან ერთად თუ იქნება, თორემ ცალკე ასეთ საკითხზე აგრე პირდაპირ მე ვერ მივალ, მე ეს შევასრულე... ჩემი მგზავრობისას ავჭალიდან თბილისამდის იმერლიშვილთან და ძიგვაშვილთან, მე მათ ჩამიყვანეს თბილისში ტრამვაის გაჩერებასთან არა პირდაპირ შარაგზით... არამედ გორაკებიდან ღელეში...

საუბრისას ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდა ძიგვაშვილი... იმერლიშვილი და ძიგვაშვილი ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ამ წრეში ცენტრალური ადგილი მე მჭეროდა... პრაქტიკული საკითხი ჩვენს წრეში არ დასმულა... იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრე, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა ლაყბობა ყოველგვარ საკითხზე. იყო ლაპარაკი ასეთ საკითხზე უმთავრესად: რა უნდა ქნას კაცმა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. ყველანი, თუ არ ვცდები, იმ აზრისანი ვიყავით, რომ თუ მართლაც ეს ასე მოხდებოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაისმებოდა, მაშინ ჩვენ მომხრე ვიქნებოდით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა გერმანიისაგან. ეს ყოველივე ხდებოდა, ვიდრე გერმანია წინ მოიწევდა ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენი ჯარები ახორციელებდნენ დროებით უკანდახევას. მაგრამ

მას შემდეგ, რაც ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოთქვა და შემდეგ ომის სრული შემოტრიალება დაიწყო, მე ვუთხარი მათ საერთოდ, რომ ჩვენი უადგილო საუბრები, როგორც ვხედავთ, სისულელე იყო და ამიერიდან ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ-მეთქი. მართლაც, მას შემდეგ ჩვენ არც პირად საუბარში, არც ერთად ყოფნისას აღნიშნულ ლაყბობას არ დავბრუნებივართ.

რაიმე ორგანიზაციის არსებობის შესახებ იმერლიშვილს ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს, არ უთქვამს არც დიგვაშვილს. ისე კი ორივენი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი სხვანიც იქნებიანო, მაგრამ მათთვის არასოდეს მიკითხავს, თუ ვინ იქნებოდნენ და არც მათ უთქვამთ რაიმე ამის შესახებ“.

გასათვალისწინებელია ის, რომ გამომდიელები და ჯალათად აღიარებული (მრავალი მოწმის ჩვენებით) მარქაროვი, საქმეების გადასინჯვასთან დაკავშირებით დაკითხული, აღიარებდა: კოტე ჯოგლიძე ცცემეთ, რათა მასაც და სხვებსაც საჭირო ჩვენება მიეცათო. „ჩემთვის მარქაროვს არ უცემია, მაგრამ ვიცი, გიორგი დიგვაშვილს სცემდაო“, – ამას გიორგი კალანდაძე გაიხსენებს.

გ. დიგვაშვილის წამების შედეგად მიღებულ ე.წ. „აღსარებითჩვენებებს“ იყენებდნენ სხვებისთვის ბრალდების წარსადგენად. ერთ-ერთი იყო კიტა ბუაჩიძე, რომელსაც, მისი თქმით, დიგვაშვილის ჩვენებით წარუდგინეს მძიმე მუხლი. „დიდხანს ვითხოვდი პირზე წაყენებას. არ შვრებოდნენ, ბოლოს საშინელი ზემოქმედების შედეგად „ვალარე“, თითქოს დიგვაშვილისგან ვიცოდი კონტრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა.

გამომდიელები მარქაროვი სასამართლოს სხდომებზე მუდამ მაგონებდა წინასწარი გამომდიეების საშინელებებს და მე ვერ ვიპოვე ძალ-ღონე – უარი მეთქვა წინასწარ გამომდიებაზე მიცემულ ჩვენებებზე... გამომდიელები მარქაროვი დაკითხვებზე აკრძალულ ხერხებს იყენებდა, უცენზურო სიტყვებით მედავებოდა, მერე მოითხოვდა, „სწორი“ პასუხის მიცემას, მუშტებით მცემდა, სახეშიც გამილაწუნებდა (ერთხელ ისე ხეთქა, მარჯვენა ყურით დააყრუა, – დაამტებს კ. ბუაჩიძის ამ მოგონებას რ. კვერენჩხილაძე)... ბოლოს იძულებული გავხდი, ჩემი ხელით მეწერა განცხადებები,

რასაც მარქაროვი მკარნახობდა – ის დიგვაშვილის ჩვენებების მიხედვით აფორმებდა ჩემი დაკითხვის ოქმებს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დიგვაშვილის ჩვენებებიც მარქაროვის შედგენილ-გამოგონილი იყო (კვერენჩილაძე 2017: 143-144). არამცთუ შთაბეჭდილება იქმნება, არამედ უტყუარი ფაქტია, რომ მარქაროვი მრავალი ბრალდებულის სიტყვით და თავად მისივე აღიარებით, იყო ჯალათი, რომელიც ცემით იღებდა პატიმრებისგან ჩვენებებს, მათ შორის, დასახვრეტად განწირული დიგვაშვილისგან.

საარქივო მასალა გიორგი დიგვაშვილზე მწირია (ფონდი №6. საქ. №20285-6 6421549, ყ. 350-381). საქმეში დევს მისი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, ბრალდება, განაჩენი, მმის, სულიკო დიგვაშვილის, რამდენიმე განცხადება, რეაბილიტაციის გადაწყვეტილების ასლი.

ფონდი №6, საქმე №20285-6

დიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე, დაბადებული 1917 წელს. ვანის რაიონში, სოფ. ციხე-სულორში, ფილოლოგი, უპარტიო, ქართველი, მოქალაქეობა – სსრკ.

დაიჭირეს 1942 წლის 11 იანვარს.

ბრალდება კ/რევოლუციური ორგანიზაციის წევრი.

მუხლი 58/10 2 ნაწ. 458/11.

რეგისტრაციის თარიღი 1.VIII.1980.

გასამართლა: ამიერკავკასიის ფრონტის სახალხო ტრიბუნალმა. 11-20/IX.

მიესაჯა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

გიორგი დიგვაშვილმა ისევე, როგორც „შეთქმულთა საქმის“ სხვა მონაწილეებმა, მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს მიიღო რეაბილიტაცია. ნაწყვეტი მათი გამამართლებელი (საერთო) ტექსტიდან:

„...ბრალდების საფუძველია ბრალდებულთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ერთმანეთის მიმართებით... გარდა ამისა, დამატებითი გამოძიებით დადგინდა, რომ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა კანონის უხეში დარღვევით, გამოძიებისათვის მიუღებელი უკანონო მეთოდების გამოყენებით, სისტემატური ცემით, რაც აიძულებდა მათ „ელღარებიანთ“ ბრალდებები. საქმეების გამომძიებელი ა.მ. მარქაროვი ესწრებოდა ხოლმე სასამართლო პროცესს და ზემოქმედებდა განსასჯელებზე“.

როგორც სხვა დახვრეტილების, ასევე გიორგი ძიგვაშვილის ოჯახმაც დიდხანს არ იცოდა მისი დახვრეტის ფაქტი. მშობლებს, ოჯახის წევრებს ატყუებდნენ, რომ ისინი გადასახლებაში იყვნენ. ომში დაიღუპა გიორგის უმცროსი ძმა, პიმენიც, რომელიც, ასევე, ლექსებს წერდა და აქვეყნებდა. დედამ ვერ გაუძლო ლოდინს და როცა იმედი გადაეწურა, 1962 წელს თავი ჩამოიხრჩო.

კოტე ხიმშიაშვილის საქმეში (საარქივო №20285-6421599-01, №12) დევს გიორგი ძიგვაშვილის ძმის, სულიკო ძიგვაშვილის, განცხადებები. საპასუხოდ გაგზავნილ ცნობაში (1979 წლის 2 აპრილი) წერია, რომ გიორგი ძიგვაშვილი დაიჭირეს 1942 წელს, იმავე წლის 11-20 სექტემბერს გაასამართლა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა, მიუსაჯა დახვრეტა, განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 1942 წლის 17 ოქტომბერს; რაც შეეხება რეაბილიტაციას, ამ საკითხთან დაკავშირებით ოჯახს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურისთვის უნდა მიემართა (ხელს აწერს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოდპოლკოვნიკი გ. პატარკაციშვილი).

მხოლოდ 1988 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე მიეცა გიორგი ძიგვაშვილს რეაბილიტაცია. პასუხი ამის შესახებ გაეგზავნა გიორგი ძიგვაშვილის ძმას, სულიკო ძიგვაშვილს:

ს.მ. ძიგვაშვილს

მცხ. ვანის რაიონი, ს. ციხესულორი

თქვენი განცხადება ძმის, გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილის რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს სსრ პროკურატურაში განხილულია. გაცნობებთ, რომ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

საქართველოს სსრ პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების ორგანიზაციებში სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვ.ს. გელაშვილი (საქმე №20285-60, საარქივო №421549-01, №12).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ავალიანი 1972 – ავალიანი ლ., ალექსანდრე საჯაია. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №13. 1972.

სულაბერიძე 2000 – სულაბერიძე ლ., სანამ ცოცხალ ვართ, თქვენთან ვიქნებით. წიგნში: გიორგი ძიგვაშვილი. გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე. თბილისი, 2000.

ჩხეიძე 2000 – ჩხეიძე რ., სიტყვა გიორგი ძიგვაშვილზე. წიგნში: გიორგი ძიგვაშვილი. გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე. თბილისი, 2000.

მირიანაშვილი... 1994 – ლექსები კრებული „სამება“. რედაქტორ-გამომცემლები: ა. მირიანაშვილი, ს. ნარიშკინი. თბილისი, 1994.

საარქივო მასალა – საქმე №20285-60; №421549-01, №12.

Zoia Tskhadaia

GIORGI DZIGVASHVILI

Summary

Giorgi Dzigvashvili was born in 1917 in the village of Tshikhesulori, district of Vani. He studied at the Faculty of English Language and Literature of Tbilisi State University. In his student years, he was drafted into the Red Army.

He participated in the operations for the liberation of Western Ukraine. He was executed due to his anti-Soviet position. He was rehabilitated in 1988.

Giorgi Dzigvashvili was a very talented young man. Both original and translated poems belong to his pen. Giorgi's archive is lost. His friend Lado Sulaberidze collected G. Dzigvashvili's works and published several of his poems and translations in various magazines. Also, in 2000 was published a collection of Giorgi Dzigvashvili's poems "Spring at the Marabda Cemetery" compiled by Lado Sulaberidze.

Giorgi Dzigvashvili's poetry mainly depicts heroic and patriotic motives, which perfectly express the national spirit of the young poet.

ოლეგ ჯიბაშვილი
ირაკლი ბარამიძე
ხათუნა დიასამიძე

ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად

კრწანისის ომი, თავისი შედეგებით, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მომენტი საქართველოს ისტორიაში. თუ 1740-60-იან წლებში, შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფომ შეძლო და განვითარების სასურველი ტემპი აიღო, ხოლო 1770-80-იან წლებში, მიუხედავად მტრულად განწყობილი ძალების გააქტიურებისა, მოახერხა მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, 1795 წლის 8-11 სექტემბრის მარცხმა მას უდიდესი დარტყმა მიაყენა და, საბოლოო ჯამში, სუვერენიტეტი დააკარგვინა.

დიახ, ირანის გამგებელ აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ საბედისწერო როლი ითამაშა ერეკლე II-ის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ფეხზე დაყენებული სამეფოს ცხოვრებაში.

„ირანის საქართველოზე თავდასხმის საფრთხე ჯერ კიდევ 1791 წელს წამოჭრილა“ (ცინცაძე 1969:90). შესაბამისად, ამ დროიდან დაწყებული, ერეკლე ყურადღებით ადევნებდა თვალს აღა-მაჰმად ხანის მოქმედებებს და მის დასახვედრად ემზადებოდა კიდევ. პარალელურად, არსებული ვითარების

შესახებ ცნობებს პეტერბურგში გზავნიდა და დახმარებას ითხოვდა. გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო გვერდში დადგომოდა ქართლ-კახეთის სამეფოს.

ერეკლე მეფის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (1802-1869) საინტერესო ცნობებს გვაწვდის მტრის დასახვედრად ერეკლეს მიერ გატარებული მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. ეს სამზადისი საკმაოდ მასშტაბურია, სტრატეგიული თვალსაზრისითაც კარგად არის გათვლილი და, გარკვეულად, გააზრებულია მოსალოდნელი შედეგებიც.

უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ა.ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობებს ხშირად ნაკლებად სანდოდ მიიჩნევენ. არადა ინფორმაციებს ერეკლეს დროინდელი მოვლენების შესახებ იგი უშუალოდ პირველწყაროებიდან იღებდა. ჯამბაკურ-ორბელიანის ინფორმატორები, უმეტეს შემთხვევაში, უშუალოდ მოვლენათა თვითმხილველები იყვნენ, თანაც, მასთან ნათესაური ძაფებით დაკავშირებული და, შესაბამისად, საკმაოდ გულახდილებიც. „მეიმ ძველებისა ეს მაძიონს, რომ უწინდელსა არაფერს არ მალავენ ჩემთან, არც ავსა და არც კარგსა“, – წერს იგი ერთგან (კავაბაძე 1914: 4). თავად ა. ჯამბაკურ-ორბელიანიც გულწრფელი, მიუკერძოებელი და პირში მთქმელი ავტორია. როცა ჭეშმარიტების გარკვევა და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, იგი არათუ სხვას, თავის მამასა და სახლიკაცებსაც არ ზოგავს და ისტორიის სამსჯავროს წინაშე ხელს არ აფარებს. გვსურს მოვიტანოთ ციტატა ა. ჯამბაკურ-ორბელიანის ერთ-ერთი წერილიდან: „ზევით რომ ვთქვით, დავით სარდლის შემდგომ ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა მეთქი, არამც თუ მარტო ორბელიანები, სხუებიც უფრო ადრითგანვე. მაგრამ ჩემის სწორეს ლაპარაკით აუგათ ვიხსენები ბევრისაგან და მაინც კიდევ მე ჩემსაც არ დავიშლი, ვინც რა უნდა თქუან. მე არავინ დამიზოგია აქ, არც ჩემი გუარი და არც სხუა, ჩემთვის სულ ერთნი არიან. მამულის ღალატი მარჯუენა ხელმა ცოტათაც რომ იგრძნას, უნდა მოიჭრას ის ხელი და ძაღლებს მიუგდოს, არამცთუ დაზოგოს ვინმე“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1914-a: 37).

ვეფერობთ, ეს სიტყვები შესანიშნავად ახასიათებენ ავტორს. ამდენად, ჩვენი აზრით, ა. ჯამბაკურ-ორბელიანი და მისი წერილები მეტ ნდობას იმსახურებენ.

ა. ჯამბაკურ-ორბელიანის ნაშრომში „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში“ (1895) ნათქვამია, რომ 1790-იანი წლების დასაწყისში, ირანში მომძლავრებულ ალა-მაჰმად ხანს ერეკლესგან მოუთხოვია „ხელი აიღე რუსეთზეო“. ერეკლემ, „მიმდობი რუსეთის ერთ-მორწმუნეობისა და იმის ძლიერებისა“, უარით გაისტუმრა ირანელი მოციქული. ამავე დროს მან „მეთუალები დაადევნა ელჩსა და თვითონ მზადებაში შევიდა, როგორც რიგით დახვდეს ალა-მაჰმად-ხანსა“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 15). მოუცლევლობის გამო ირანის მმართველმა მაშინვე ვერ გამოილაშქრა საქართველოზე, რამაც ერეკლეს მომზადებისათვის დრო მისცა. 1794 წლის ზაფხულში მზვერავებისაგან ცნობა მოვიდა, რომ „ახლა უთუოთ განზრახუა აქვს წამოვიდეს ალა-მაჰმად-ხანო. დაუყოვნებლივ მეფე ირაკლიმ ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და პირუელი თათრის ალაღარები მოიწვია“ და მათთან სამხედრო თათბირი ჩაატარა, თუ როგორ დახვედროდნენ მტერს (იქვე).

ა. ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით, ერეკლეს ჯერ თათბირის მონაწილეთა მოსაზრებები მოუსმენია (ამათგან განსაკუთრებით სარდალ დავით ჯამბაკურ-ორბელიანისა და ყაზახის ვეჟილის ფანა აღას გეგმები მოსწონებია), შემდეგ კი თავისი ჩანაფიქრი გაუცნია მათთვის:

„მე მინდა ალა-მაჰმად-ხან და იმის ჯარი ასე წავახდინო, რომ საქართველოდგან ერთი მოაზნე ყიზილბაში ვედარ გავიდეს, მასუკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ. მე ალა-მაჰმად-ხანს არსად არ შევებმი, მოვიყუან სოღალულს, იქით მინდორში ჩამოვახდენ მტკუარის მახლობლად. ამ დროს მეც სოღალუხიდგან მცირეს ჯარს დავანახებ, მითამ იმაზე მეტი ჯარი არა მყავს, რომ ალა-მაჰმად-ხანის ჯარი უფრო გათამამდნენ, მაგრამ ოთხმოცი ათასზე მეტი ჯარი, ამ ქალაქის მოახლოვოდ ანუ ამის გარშემო მეყოლება დაფარულს ადგილებში, რომლებიცა ის ადგილები ესენი არიან, და ან რა ერთიც ჯარები იქ იდგებიან, აი ეხლა გაიგონებთ: **ათიათასი** ჩუენი მეომარი სოღალუხის გაღმა

ქალაში იქნებიან დამალული, ყარაიაზის მხარეს. **ათიათას** მეომარსა დიახ ჩუმით მოვატარებ და იალღუჯის ყელეებში გავგზავნი, რომ დრომდისინ იქ იყვნენ დამალულნი. **ხუთიათას** მეომარსა გატეხილის ხიდისაკენ მალვით გავგზავნი, რომ ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი იმათ არ გაუშონ. **ათიათას** მეომარსა სოღალუხის ყელეებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და მე დანარჩენის ჯარითა და თვრამეტის ზარბაზნითა ტაბახმელის გზაზედ გადვივლი თელეთისაკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზედ მივალ და თვრამეტს ზარბაზნებს ერთად დაუშენ მოუწყუეტელათ, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს; **ოციათას** ჩუენ მეომარსც შევატევებინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შეუდგები. ამ დროს იქით იალღუჯის ჯარი და აქეთი სოღალუხის ყელის ჯარი, სწორეთ ამ დროს გამოვლენ, და სამის მხრით გარს შემოვერტყმით ყიზილბაშის ჯარსა, რომ არსაითკენ არა ჰქონდეს გზა, თუ არ მტკვრისაკენ. ყიზილბაშების გაქცეულსა ჯარსა მივყუებით და მტკვარს მივაყენებთ. ამ დროს უეცრათ, **ათიათასი** ჩუენი მეომარი გაღმიდან ცეცხლს მოუკიდებენ ყიზილბაშის ჯარსა და სამის მხრიდგანაც ჩუენ მივაწვუებით. აქ მე დარწმუნებით ვიცი, აღა-მამად-ხანს ან ხელეშ შეკრულს მოგვცემენ, ან თავის ჯარი მოჰკლავს და ან ჩუენი ჯარი ხელში ჩაიგდებს. იმასაც ვიტყვი, ყიზილბაშის ჯარი თოფიარაღს დააწყობს და სულერთიან დაგვმორჩილდებიან. ღვთით იმედი მაქუს, რომ უთუოთ დაგვმორჩილდებიან“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 17-18).

როცა აღნიშნულ სამხედრო გეგმას განიხილავდა, ერეკლე მეფეს უკვე მოაზრებული ჰქონდა, თუ სად უნდა მოეძია მისი რეალიზებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები. პატარა კახი ნიჭიერი სარდალი და კარგი მეომარი იყო, სამხედრო საქმეშიც კარგად ერკვეოდა. მისი გათვლებით, 36 ათასზე მეტი მებრძოლი (ისტორიული დვალეთისა და ბორჩალო-ყაზახ-შამშადილის მცხოვრებთა ჩათვლით) საკუთრივ ქართლ-კახეთის სამეფოს უნდა გამოეყვანა, ხოლო იმერეთიდან, ჩერქეზეთიდან (ანუ ყაზარდოდან) და დაღესტნიდან 45 ათასამდე კაცი უნდა მოსვლოდა დამხმარე ჯარების სახით. „გარდა ამისა, –

მსჯელობდა ერეკლე II, – რუსეთის ხელმწიფესა ვთხოვ ორიათას რუსეთის მხედრობასა და ექვს ზარბაზანსა; ამაზე მეტი რუსეთის მხედრობა ჩემთვის საჭირო არ არის, ესეც იმისთვის მინდა, ჩუენი ჯარები იმათ რომ ნახუენ, უფრო თავს გამოიდებენ, თორემ არც კი ვაომებ მე იმათ“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 19).

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გაზვიადებული და არარეალურია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა.ჯამბაკურ-ორბელიანის ობიექტურობა ჩვენთვის ექვს არ იწვევს, აქ ყველაფერი რიგზეა – იგი ინფორმაციებს თვითმხილველებისაგან იღებდა და ამ ინფორმაციებს შეძლებისდაგვარად შეულამაზებლად გადმოსცემდა, მაშინაც კი, როცა ეს ინფორმაცია თუნდაც მისივე მამის დაშვებულ შეცდომებს ააშკარავებდა (კაკაბაძე 1914: 8). მართალია, ნაშრომი „აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში“ ა. ჯამბაკურ-ორბელიანმა 1844 წელს დაწერა, მაგრამ ინფორმაცია, რა თქმა უნდა, შეეძლო უფრო ადრეც შეეგროვებინა. შემდეგ, ე. თაყაიშვილის სიტყვით, მას წაუკითხავს თეიმურაზ ბატონიშვილის „აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“ და ამ ფაქტთან დაკავშირებით 1850 წელს თავისი ნაშრომისათვის დაუმატებია „შესავალი“, რომელშიც ის ეხება თეიმურაზ ბატონიშვილის წერილს და მასში მოყვანილი ცნობების სიმართლეს (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 5). ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, მიუთითებს რა თეიმურაზისაგან სიმართლის შეგნებულად გაყალბებაზე, წერს: „ის დალოცვილი ბატონიშვილი თეიმურაზ იმ საშინელს და საკვირველს ამბებს მოესწრა და რატომ ყველა სწორეთ არ აწერა, უფრო სახარბიელო არ იქნებოდა, მინამ ისე გადაცვლით და ჩაჩქმალული? – განა იმას კუდი ეწოდა რაზედმე? ...მე ამ შესავალში ამას იმისთვის არა ვწერ, რომ მე ჩემი დავამტკიცო-მეთქი. იმისათვისა ვწერ, რომ ბატონიშვილის თეიმურაზისაგან მწყინს; იმას უნდა დაუფარებლივ ყველა სწორეთ დაეწერა, რადგან მომსწრე იყო ამ ამბებისა, მინამ ასე გადაესხვაფერებინა“ (იქვე: 6-7).

უსამართლობა იქნება ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს სიცრუე დავწამოთ. იგი პირუთვნელად აღწერდა

თვითმხილველთა მონათხრობს, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად კეთილსინდისიერი ინფორმატორები ჰყავდა მას თავად. ამ საკითხში სიცხადის შეტანაში, ვფიქრობთ, დიდწილად დაგვეხმარება ერეკლეს გეგმისა და მისი გათვლების რეალობასთან შესაბამისობის გარკვევა.

როგორც ა. ჯამბაკურ-ორბელიანი მიუთითებს, გეგმით ქართლ-კახეთის სამეფოს 36 ათასზე მეტი მეომარი უნდა გამოეყვანა (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 19). ჰქონდა კი მას ამის რესურსები? ვფიქრობთ, რომ ჰქონდა.

ერეკლე მეფის ბრძანებით 1770 წლის 5 აპრილს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში 42-43 ათას კომლამდე ცხოვრობდა (მაჭარაძე 1988: 546-548 – დოკ. №242).

მკვლევარი ვ. ჯაოშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს იმ ნაწილში, რომელიც თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებშია მოქცეული, 1770 წლის 5 აპრილისათვის 43 095 კომლს, ანუ 330 677 სულს, ვარაუდობს (იმავე ფარგლებში 5 აპრილის აღწერით, 33 560 კომლი ითვლება) (ჯაოშვილი 1984: 47-48). ვ. ჯაოშვილის გამოთვლებისა და 5 აპრილის მონაცემების შეჯერება-გათვალისწინებით, ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი მოსახლეობა დაახლოებით 55 000 კომლი, ანუ 350-400 ათასის ფარგლებში, უნდა ყოფილიყო.

5 აპრილის აღწერის მასალებში ერეკლე მეფე თავის საბრძოლო ძალებს 23 ათასი კაცით განსაზღვრავს (მაჭარაძე 1988: 549 – დოკ. №242). როგორც ჩანს, აქ საუბარია შერჩევითი მობილიზაციის შედეგად გამოსაყვან რაოდენობაზე. ქუდზე კაცის გაწვევის შემთხვევაში, რაც იშვიათად ხდებოდა, ქართლ-კახეთის მთელი მოსახლეობა ბევრად მეტი მეომრის გამოყვანას მოახერხებდა. ეს კარგად გამოჩნდა სულ რაღაც ოთხიოდე წლის შემდეგ, 1774 წელს, როცა ე.წ. „მორიგე ჯარის“ ინსტიტუტი დაარსდა.

1773 წლის მიწურულს სამეფო დარბაზის მიერ მიღებულ „მორიგის ლაშქრობის განაჩენზე“ დაყრდნობით, აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს, რომ „მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო. ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე

იყო წელიწადში ერთი თვით ლაშქარში გამოსულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა... პირველ ხანებში მორიგეში ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა“ (ბერძენიშვილი 1965: 222). ანუ, 1774 წლისათვის ქართლ-კახეთში ლაშქარში გასაწევად ვარგისი, სულ მცირე, 60 ათასი მამაკაცი მაინც უნდა ყოფილიყო, თანაც ამ რიცხვში თუშ-ფშავ-ხევსურები არ შედიოდნენ. როგორც ცნობილია, ისინი მორიგე ლაშქარში არ გაჰყავდათ, რადგან ისედაც სულ ბრძოლებში იყვნენ. მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1770-იანი წლების დასაწყისისათვის დაახლოებით 55 ათასი კომლი, ანუ 350-400 ათასი სული, იყო.

მეტ-ნაკლებად, მოსახლეობის იმავე რაოდენობას ვხედავთ მომდევნო ათწლეულშიც. 1780-იანი „წლების დასაწყისში ქართლ-კახეთში დაახლოებით 350 ათას სულს ითვლიდნენ“ – ნათქვამია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში (სინ 1973: 774), ხოლო რუსი ისტორიკოსისა და სამხედრო პირის – პეტრე ბუტკოვის ცნობით, რომელსაც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აქტიური შეხება ჰქონდა საქართველოს საქმეებთან¹, 1783 წლის წინა ახლო ხანებში ქართლ-კახეთის სამეფოში 61 ათასი კომლი ცხოვრობდა (Бутков 1869: 340).

სავარაუდოდ, 1790-იანი წლების პირველი ნახევრისათვისაც ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობა დაახლოებით იგივე უნდა ყოფილიყო; ყოველ შემთხვევაში, წინა წლებთან შედარებით მოსახლეობა დიდად შემცირებული არ იქნებოდა, ასეთი სურათი არ იკვეთება. ბუტკოვიც მოსახლეობის შემცირებას მხოლოდ კრწანისის ბრძოლის შემდეგ მიუთითებს (იქვე). ამდენად, აღნიშნული ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქუდზე კაცის დამახებით, ქართლ-კახეთის სამეფოს, ვფიქრობთ, ჰქონდა საშუალება

¹პეტრე გრიგორის-ძე ბუტკოვს 1796-1800 წლებში მაღალი პოსტები ეჭირა ამიერკავკასიაში მოქმედ რუსეთის სამხედრო ნაწილებში, ხოლო 1801-1803 წლებში იყო საქართველოს მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ კარლ ფიოდორის-ძე კნორინგის კანცელარიის მმართველი. შესაბამისად, იმდროინდელი საქართველოს შესახებ კარგად იყო ინფორმირებული [Большая биографическая энциклопедия].

35-36 ათასი მეომარი გამოეყვანა. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართლ-კახეთის სამხედრო ძალები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რეგიონში. რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი საქართველოში, ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტანი ნ. იაზიკოვი 1772 წლის ნოემბრის მოხსენებაში წერს: „ქართული ჯარი იმ მხარეში სიმამაცით არის ნაქები... იქ სროლა ყველამ იცის, თოფიც ყველას აქვს და ომისათვის ყველა ყოველთვის მზადაა“. შემდეგ აგრძელებს: „საქართველოსა (იგულისხმება ქართლი) და კახეთის მკვიდრნი საერთოდ მებრძოლი ხალხია, მაგრამ კახელები მამაცობით პირველებს სჯობნიან; ყველა მოსახლეს აქვს თოფი, ცხენოსნობისა და სროლის ოსტატები არიან; მათი ჯარის ფორმა არარეგულარულია... ქართველებისაგან გამოვლენ კარგი ქვეითები და ეგერები, რამეთუ ოსტატურად ისვრიან, მსუბუქად დადიან და საკვებად პურის გარდა არაფერს საჭიროებენ“ (მაჭარაძე 1997: 521-523 – დოკ. №492)). ვფიქრობთ, საინტერესო შეფასებაა. ერეკლეს საკუთარი ძალების ამარაც არ გაუჭირდებოდა ირანელების მოგერიება.

ახლა რაც შეეხება დამხმარე ჯარებს.

ერეკლე II იმერეთის სამეფოდან 10 ათასი მეომრის მოშველიებას იმედოვნებდა (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 19). იმერეთში ამ დროს ერეკლეს შვილიშვილი – სოლომონ II მეფობდა. სამეფოს ფარგლებში, საკუთრივ იმერეთის გარდა, რაჭაც შედიოდა. მკვლევარ ვ. ჯაოშვილის გამოთვლებით, XVIII საუკუნის მიწურულისათვის რაჭა-იმერეთში 22-23 ათასი კომლი, ანუ, 160-ათასზე მეტი სული, ცხოვრობდა (ჯაოშვილი 1996: 61-65). ამავე დროს ისიც გავიხსენოთ, რომ 1790 წ. ივნისში, – როგორც ეს მითითებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში, – სოლომონ ლიონიძის ინიციატივით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“. ამ ტრაქტატით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ“ (სინ 1973: 729). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი დადიანთა სახლიდან იყო, ხოლო თავად ერეკლეს დიდი გავლენა

და ავტორიტეტი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ყოველივეს გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოდან 10-ათასიანი მაშველი ჯარის მიღება შეუძლებელი არ იქნებოდა.

10 ათასამდე მეზრდოლს ერეკლე მეფე ჩერქეზეთიდან ანუ ყაზარდოდან ელოდებოდა და მათთან მოლაპარაკებას ალმასხან (ვახტანგ) ბატონიშვილს ავალებდა (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 19). ეს ხალხი ხშირად ფიგურირებდა ერეკლეს სამხედრო ოპერაციებში. იმდენად მჭიდრო ურთიერთობა იყო მათთან, რომ 1770-80-იან წლებში პატარა კახი ყაზარდოელთა ერთი ნაწილის ქართლ-კახეთში გადმოსახლებასაც ცდილობდა, რათა მათი საზრდოლო პოტენციალი უფრო აქტიურად გამოეყენებინა (ეს ცდები რუსეთის იმპერიამ ჩაშალა, როგორც მისთვის მიუღებელი) (ბოცვაძე 1963: 115-119; Бейтуганов 1993: 242). XVIII საუკუნის ბოლოსათვის ყაზარდოს მოსახლეობის რაოდენობას სხვადასხვა წყარო განსხვავებულად მიუთითებს და 100 ათასიდან 350 ათასამდე და უფრო მეტსაც ვარაუდობს (Кармов 2020: 17; Ходко 2008: 161-165; Калмыков 2007: 13). ყაზარდოელები გარშემო მცხოვრებ სხვა ჩრდილოკავკასიელ ხალხებზეც ბატონობდნენ. თუ გავითვალისწინებთ ყაზარდო-ქართლ-კახეთის ტრადიციულ ურთიერთობებს, გასამრჯელოს სანაცვლოდ ისინი არც ამჯერად იტყოდნენ უარს ერეკლესათვის სამხედრო დახმარება გაეწიათ. როგორც ვნახეთ, მათ ამისათვის საკმარისი ადამიანური რესურსებიც გააჩნდათ.

სამხედრო გეგმაში საუბარია დადესტნელთა 25-ათასიან მაშველ ჯარზეც (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 19). ალბათ ყველაზე უფრო საკამათო ადგილი ერეკლე მეფის ჩანაფიქრში სწორედ ეს ნაწილი არის. თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება არც იგი იყოს საღ აზრს მოკლებული.

რა ზიანი მოუტანა საქართველოს ლეკიანობამ და, ზოგადად, მთის ჩამოწოლამ ბარში, კარგად არის ცნობილი და აქ ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ თავიანთი მწირი მიწის შემყურე დადესტნელი მთიელები საარსებო საშუალების დეფიციტს

თარეშებით მოპოვებული სამხედრო ალაფით ივსებდნენ. ეს ტრადიცია მთიდან ბარში ჩამოსახლებულ ე.წ. „ჭარ-ბელაქნელ ლეკებსაც“ შერჩათ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დამკვიდრებულ მთიელებს მიწის პრობლემა უკვე აღარ აწუხებდათ, მაგრამ ჩვეულებისამებრ მაინც განაგრძობდნენ მძარცველურ თავდასხმებს მეზობლებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოზე. დაღესტნელების ხშირ თავდასხმებს საქართველოზე ბევრი რამ განაპირობებდა. საქართველო გვერდით იყო, ირან-ოსმალეთთან ბრძოლებში დასუსტებული და პოლიტიკურად დაქუცმაცებული, მაგრამ სამარცვავად მაინც ხვავრიელი. საქართველოზე თავდასხმებს ირან-ოსმალეთიც აქეზებდა და აფინანსებდა, იყენებდა რა ამისთვის ქართველ-დაღესტნელთა რელიგიურ განსხვავებულობასაც. თანაც, ამიერკავკასიაში, დამოუკიდებლობაშენარჩუნებული ქართული პოლიტიკური ერთეულების გარდა, სხვა მიწები ირანს ან ოსმალეთს ეკუთვნოდა. ამიტომ შედარებით სუსტ საქართველოზე თავდასხმა უფრო მომგებიანი იყო დაღესტნელებისათვის, რომლებიც სამარცვავს ეძებდნენ და არა საომარ ასპარეზს. თუმცა, ირან-ოსმალეთის დასუსტების კვალობაზე, რაც განსაკუთრებით XVIII საუკუნის II ნახევარში გამოიკვეთა, არც ამ ერთმორწმუნე სახელმწიფოების ტერიტორიების ძარცვას ერიდებოდნენ ისინი. ანუ, იმის თქმა გვსურს, რომ საქართველოზე დაღესტნელთა ხშირ თავდასხმებს განაპირობებდა არა ქართველებისადი განსაკუთრებული მტრობის გრძნობა, არამედ ნადავლის მოპოვების სურვილი, ისევე როგორც საქართველოში ტყვეთა სყიდვაში ქართველებისავე აქტიურ მონაწილეობას განსაზღვრავდა გამორჩენის სურვილი და არა თვითგანადგურების წყურვილი.

აკი მიმართავდნენ კიდეც დაღესტნელი ბელადები ერეკლე მეფეს: „ჩვენ გვირჩევნია თქვენ დაგვიქირაოთ და მიგვისიოთ თქვენი ქვეყნის მტერს, ვიდრე სხვამ დაგვიქირაოს და თქვენი ქვეყანა გვანადგურებინოსო“ (ლომსაძე 1975: 51). ერეკლე მეფეც, რომელიც კავკასიაში დიდი ავტორიტეტითა და თავისი ეთნორელიგიური

ტოლერანტობით გამოირჩეოდა, დაუღალავად ცდილობდა დაღესტანთან საჭირო კავშირების გაბმას და იქაური რესურსების საქართველოს საკეთილდღეოდ გამოყენებას. მეფეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა როგორც ავარიის, ყაზიყუმუხისა და დაღესტანის სხვა პოლიტიკური ერთეულების მფლობელებთან, ისე ჭარბელაქნის, დიდოეთის, ანწუხის, კაპუჭისა და სხვა, ე.წ. „თავისუფალი თემების“ ლიდერებთან და მოუწოდებდა მათ კეთილმეზობლური და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისაკენ (История Дагестана 1967: 384). უმეტეს შემთხვევაში ასეთი მიმართვები სასურველი შედეგებით მთავრდებოდა: გარკვეული საფასურის სანაცვლოდ დაღესტნელები ქართველთა სამხედრო სამსახურში დგებოდნენ. „საინტერესოა ისიც, რომ ერეკლე დაქირავებულ ლეკთა ლაშქარს თვით ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა“ (ყანჩაველი 1978: 242). ხოლო თუ დაღესტნის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ვერწმუნებით, მიუხედავად გახშირებული ურთიერთთავდასხმებისა², საქართველო და ქართველები დაღესტნელთა ფართო მასებში მაინც დიდი სიმპათიებით სარგებლობდნენ (История Дагестана 1967: 384-386).

ერეკლე განსაკუთრებით ჭარბელაქანთან დაკავშირებას ცდილობდა. ქართულ მიწაზე აღმოცენებული „თავისუფალ ლეკთა“ ეს სამფლობელო დიდ როლს თამაშობდა საქართველო-დაღესტნის ურთიერთობებში და მასთან დაზავება ერეკლეს დიდ დივიდენდებს მოუპოვებდა. მრავალწლიანმა შრომამ, რომლის დროსაც ერეკლე საჭიროებისდა მიხედვით უხამებდა ერთმანეთს მჭრელ ხმალსა და ტკბილ სიტყვას, სათანადო ნაყოფი გამოიღო. „მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, – მოგვითხრობს ა.ჯამბაკურ-ორბელიანი, – ყოვლის ღონით დაუცხრომელად ცდილობდა, რომ ჭარბელაქნელები როგორმე გაეერთა, ან

² ბევრად იშვიათად, მაგრამ ასეთ თავდასხმებს ქართველთა მხრიდანაც რომ ჰქონდა გარკვეულწილად ადგილი, 1785 წლის 12 ოქტომბრის ერეკლე მეფის გარიგების წიგნიც მოწმობს, შედგენილი თუმ-ხევსურთა და დიდო-კაპუჭელ-ანწუხელთა ურთიერთობების დარეგულირებასთან დაკავშირებით (Межкавказские..., 1991: 46-48 - დოკ. №134 а).

როგორმე შეერიგებინა, მაგრამ არა ეშველა რა. მაინც კიდევ უკანასკნელად თავის მოხუცებულობაში, აღამამდხანის მოსვლის ოთხის წლის წინათ პირუელის ოჯახებიდგან მოხუცებული კაცები, შუახნისა და ყმაწვილები თუთხმეტ თუთხმეტი წლისა ან ცოტა მეტნაკლებნი მოიპატიჟა ჭარბელაქნიდგან სიღნაღში და კარგათ დაუხვდა“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1914-b: 4). აქ ერეკლემ მოწვეულ სტუმრებს ურთიერთმეტრობის სავალალო პერსპექტივები გადაუშალა და კიდევ ერთხელ შესთავაზა მოკავშირეობა (იქვე: 4-6). როგორც ჩანს, ამ შეხვედრიდან მოკიდებული, ჭარ-ბელაქანთან შესაძლებელი გახდა საერთო ენის გამონახვა და ურთიერთობების დათბობა. ამაზე ცხადად მიუთითებს ა. ჯამბაკურ-ორბელიანი ჩვენს განსახილველ წერილში, რომელიც აღა-მაჰმად ხანის შემოსევას შეეხება: „მინამ აღა-მაჰმად-ხან მოვიდოდა, ოთხი თუ ხუთი წლის წინათა მეფე ირაკლი ქართლში (იგულისხმება შიდა ქართლი – ავტ.) მიბრძანდებოდა ორი-ათასი რჩეული ქართუელის ცხენიანის ჯარითა, რომელსაცა ამ დროს აღარავინ აღარ ჰყუნდა მტერი. იმერეთი* და ლეკები გაიერთა, ესე იგი ჭარ-ბელაქანი, ამიტომ რომ ბევრის დევნით დაღალა ისინი და დიდათაც ეცადა იმათ შერიგებასა. თუმცა ცოტათ კიდევ კანტი-კუნტად მოდიოდნენ, მაგრამ ძალიან სუსტათ. ოსმალოს და ყიზილბაშებს კი არაფრათ აგდებდა. საქმე თავისი ძმები იმერლები და ლეკები იყვნენ, რა კი ისინი გაიერთა, გამხიარულებული მიბრძანდებოდა ქართლისაკენ ცოლშვილებით და დედაჩემიც იქ ხლებია თავის დედ-მამას, მეფე დედოფალსა“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 12).

აქვე თუ გავიხსენებთ, რომ ნადირ-შაჰის მიერ დაღესტნის დაპყრობის მცდელობის შემდეგ დაღესტნელები მტრულად იყვნენ განწყობილი ირანელების მიმართ, გავიხსენებთ იმასაც, რომ რეგიონში ყველასათვის იყო ცნობილი, ერთის მხრივ, ამ პერიოდებში ირანში არსებული შიდა არეულობებისა და, მეორეს მხრივ, ერეკლეს სამხედრო წარმატებების შესახებ, აღარ მოგვეჩვენება დაუჯერებლად

*იგულისხმება 1790 წლის ხელშეკრულება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და იმერეთში ერეკლეს შვილიშვილის –

სოლომონ II-ის გამეფება

ირანის წინააღმდეგ ერეკლესა და დაღესტნელების გაერთიანების იდეა. წარმატების შემთხვევაში, ეს ალიანსი სწორედ დიდი ნადავლისა და ირანის მიწების მოთარეშების იმედით წავიდოდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერეკლე მეფის სამხედრო გეგმას ნამდვილად ჰქონდა რეალური საფუძველი. საინტერესოა, რომ მეფე იმდენად ყოფილა დარწმუნებული თავისი ჩანაფიქრის წარმატებაში, რომ მრავალრიცხოვანი ჯარისათვის საჭირო პროვიანტის მომარაგების თადარიგიც წინასწარ დაუჭერია: „ახლა ამაების სამზადისათვის მე კიდევ მიზმანებია, – ამბობს იგი, – რომ ოთხსავ კუთხივ ფქვილი და ოთხ-ფეხი პირუტყვი მოვიდეს ამ ქალაქში (თბილისში – ავტ.) ჩუენი ჯარების სანუზღედ და იმათ გამოსაკვებად. ამთენს ჯარსა ერთი თვე შევინახამ და მეტი საჭირო აღარ იქნება. როგორც მე ვიცი და ამბავი მომდის, აღა-მამად-ხანი ჯარით მომავალ წელს წამოვა და აქ ან აგვისტოს გასულს შემოვა ან სექტემბრის დაწყებაში. ამისთვის ასე უნდა მოვახდინოთ, რომ ჩუენი ჯარები აგვისტოს ოცში აქ შემოვიდნენ და აქ დაიბანაკონ ამ ქალაქის გარეშემო დრომდისინ, მინამ რომელ ჯარსა საით გავგზავნი. იმედი მაქუს, აღა-მამად-ხანსა ასე წავახდენთ, რომ იმისი მდიდარი ურდო სულ ერთიან ხელში დაგვრჩეს, რომლიდგანაც ჩუენი ჯარი საშოვრითა აიძება, ასე რომ ერთი ჩუენი ჯარის კაცი უშოვარი არ დარჩეს“ (ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 20).

შეიძლება რაღაც ნიუანსებში ა. ჯამბაკურ-ორბელიანს უზუსტობებიც გაჰპარვოდა, მაგრამ შეუძლებელია თვით ამბავი გამოეგონებინოს. ერეკლე მეფე ნამდვილად იყო ინფორმირებული აღა-მამად ხანის მოსალოდნელ შემოსევისთან დაკავშირებით და, შესაბამისად, შეუძლებელია სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩაეტარებინა. დამხმარე ჯარების მოლოდინიც რომ არ ჰქონოდა, საკუთარი რესურსებითაც მოახერხებდა იგი ირანელების არცთუ ძალიან დიდი და სახელდახელოდ შეკრებილი, სუსტად ორგანიზებული ჯარის დამარცხებას. აკი 5-6 ათასი კაცით თითქმის უკუაგდო აღა-მამად ხანი და

თუნდაც 20-30-ათასიანი ლაშქრით როგორ გაუჭირდებოდა მისი დამარცხება? იქნებ ირანელთა ცნობილი, დროებითი უკუქცევაც იმან გამოიწვია, რომ აღა-მაჰმად ხანმაც იცოდა ერეკლეს ფართომასშტაბიანი გეგმის შესახებ და ქართველთა ძლიერმა წინააღმდეგობამ აფიქრებინა, რომ ნამდვილად მრავალრიცხოვან, კოალიციურ ჯარებს ებრძოდა და ალყაში მოქცევის პერსპექტივამ დააფრთხო? არ არის გამორიცხული.

მაშ, რა მოხდა, რატომ აღმოჩნდა დიდი ჯარების მომლოდინე პატარა კახი მტრის წინაშე ესოდენ მცირე ძალებით? – ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული საბოტაჟის შედეგი, რაც ერეკლეს დამარცხებაზე იყო გათვლილი (ჯიბაშვილი 2013: 307-318). ქვეყანაში არსებულმა, ერეკლე მეფით უკმაყოფილო დესტრუქციულმა ძალებმა, რუსეთიდან მართული „სომხური დასის“ კოორდინირებით, ისეთი საყოველთაო ქაოსი შექმნეს ხელოვნურად ქართლ-კახეთში, რომ ერეკლეს გეგმის რეალიზება შეუძლებელი გახდა (ჯამბაკურ-ორბელიანი 1914-b: 21-26, 36-37).

მცირერიცხოვანი რაზმების ამარა დარჩენილი ერეკლე გმირულად იბრძოდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ ბოლოს თავისი ქნა და ქართველები დამარცხდნენ. ქართლ-კახეთის სამეფომ დიდი ზარალი ნახა. როგორც პ. ბუტკოვი მიუთითებს, დამარცხებული ქართლ-კახეთის მარცვაში, სხვებთან ერთად, წილი დაღესტნელმა მთიელებმაც დაიდეს, რომლებიც თავიანთი მფლობელების ნებართვის გარეშე შემოვიდნენ სამარცვავად (без воли владельцев своих, приходили, для грабежей) (Бутков 1869: 340). ანუ, როგორც კი სამარცვაში სიტუაცია შეიქნა, საშოვრის წყურვილმა დაღესტნელთა ერთი ნაწილი, თავიანთი წინამძღოლებისაგან ფარულად, ქართლ-კახეთს შემოესია. მოღალატეებს რომ ერეკლეს გეგმის ჩავარდნა ვერ მოეხერხებინათ, იმავე საშოვრის წყურვილი უფრო მეტ დაღესტნელს ერეკლეს გვერდით დარაზმავდა ირანელთა ქონების დაუფლების იმედით.

ამდენად, ღალატმა კიდევ ერთხელ გასწირა ქართველები დამარცხებისათვის და კრწანისის ბრძოლა

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის სინონიმად შევიდა ისტორიაში. არადა ერეკლე ამ ბრძოლას საქართველოს შემდგომი გაძლიერება-განმტკიცების იმედებს უკავშირებდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი 1965 – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965.

ბოცვაძე 1963 – ბოცვაძე თ., საქართველო-ყაზარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1963.

კაკაბაძე 1914 – კაკაბაძე ს., მოგონებები ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ, ტფილისი, 1914.

ლომსაძე 1975 – ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975.

მაჭარაძე 1988 – მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი I, თბილისი, 1988.

მაჭარაძე 1997 – მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, თბილისი, 1997.

სინ 1973 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე), IV, თბილისი, 1973.

ცინცაძე 1969 – ცინცაძე ი., აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბილისი, 1969.

ყანჩელი 1978 – ყანჩელი ნ., ერეკლე II-ის წერილი ქუა ქალაქიელისადმი. კრებული მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), VI, თბილისი, 1978.

ჯამბაკურ-ორბელიანი 1914-a – ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., მეფის ირაკლის მეორის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი. კრებული: ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, ტფილისი, 1914.

ჯამბაკურ-ორბელიანი 1914-b – ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., დაღისტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ტფილისი, 1914.

ჯამბაკურ-ორბელიანი 1895 – ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის-ძე, აღა-მამად-ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში (გადმოზეჭდილი ჟურნალ „მომამიდან“), ტფილისი, 1895.

ჯაოშვილი 1984 – ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა VIII-XIX საუკუნეებში, თბილისი, 1984.

ჯაოშვილი 1996 – ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა (ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 1996.

ჯიბაშვილი 2013 – ჯიბაშვილი ო., კრწანისის მოვლენები და სომხური დასი. „საისტორიო მაცნე“ (შრომების კრებული), XX, ბათუმი, 2013.

Бейтуганов 1993:– Бейтуганов С.Н., Кабарда и Ермолов. Нальчик, 1993.

Большая биографическая энциклопедия – Большая биографическая энциклопедия. „Бутков, Петр Григорьевич“. https://dic.academic.ru/dic.nsf/enc_

Oleg Jibashvili
Irakli Baramidze
Khatuna Diasamidze

PREPARATIONS OF KING EREKLE TO MEET AGHA-MOHAMMAD KHAN

Summary

Based on the letters of Erekle's grandson - Alexander Jambakur-Orbeliani - the paper analyzes the strategic plan of King Erekle II of Kartli-Kakheti to repel the impending invasion of Shah Agha-Mohammad-Khan of Iran in the 90s of the XVIII century. There are substantiated the reliability and objectivity of the author of the sources – A. Jambakur-Orbeliani.

The military potential of the Kingdom of Kartli-Kakheti and its possible allies was enough to repel the Iranian army, but the destructive forces operating in the kingdom thwarted the plans of King Erekle. These forces were led by the so-called "Armenian group", which was ruled by the Russian Empire.

It is shown that the tragic defeat of the Georgians at Krtsanisi was caused not by the military superiority of Iran at that time over the Kingdom of Kartli-Kakheti, but by the harmful actions of internal traitors.

ავტორთა მონაცემები

მერაბ კენევაძე

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის დოქტორი.

ნატალია შრუშაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრის ინგლისური ენის ლექტორი, განათლების დოქტორი

დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სასულიერო სემინარიის პრორექტორი სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში, თეოლოგიის მაგისტრი

ზოია ცხადია

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

ოლეგ ჯიბაშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ისტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი

ირაკლი ბარამიძე

შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი

ხათუნა დიასამიძე

შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

MERAB KEZEVADZE

Director of the Kutaisi Central Archive of the National Archives of Georgia, Doctor of Historical Sciences.

NATALIA URUSHADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Language Center English Language Lecturer, Doctor of Education

ARCHPRIEST BESARION TSINTSADZE

Vice-rector of Tbilisi Theological Academy and Theological Seminary in educational and administrative field, Master of Theology

ZOIA TSKHADAIA

Scientific employee of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, doctor of philology

OLEG JIBASHVILI

Head of History and Archeology Department of Niko Berdzenishvili Institute of Shota Rustaveli State University, Doctor of History

IRAKLI BARAMIDZE

Associate Professor of Shota Rustaveli State University, Doctor of History

KHATUNA DIASAMIDZE

Associate Professor of Shota Rustaveli State University, Doctor of History.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მერაბ კეზევაძე – გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923). წერილი მეორე	3
ნატალია ურუშაძე – პრეზენტაცია – კოგნიტური ბარიერის გადალახვის ეფექტური სტრატეგია უცხოური ენის სწავლების პროცესში	21
დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე – საქართველოს ისტორიის საკითხები კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ნაშრომებში.....	41
ზოია ცხადაია – გიორგი ძიგვაშვილი	53
ოლეგ ზიბაშვილი, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე – ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად	63
ავტორთა მონაცემები	80

CONTENTS

MERAB KEZEVADZE - Governance and Management of Gelati Monastery (1811-1923) Letter second	19
NATALIA URUSHADZE - Presentation - An effective Strategy for overcoming the cognitive barrier in the process of teaching a foreign language	40
ARCHPRIEST BESARION TSINTSADZE - Issues in the History of Georgia in the Works of Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze	51
ZOIA TSKHADAIA - Giorgi Dzigvashvili	62
OLEG JIBASHVILI, IRAKLI BARAMIDZE, KHATUNA DIASAMIDZE - Preparations of King Erekle to meet Agha-Mohammad Khan	79
CONTRIBUTORS	81

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

**დამაკაბდონებელი
შორენა ხუნდაძე**

რედაქციის მისამართი:

ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

